


# საქართველოს უზენაესი სასამართლო

ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი



2020

**ანგარიშის გამოცემაზე პასუხისმგებელი:** ლევან ავალიშვილი, ქეთევან კუკავა, ვახუშტი მენაბდე

**ანგარიშის ავტორები:** ქეთევან კუკავა, მათა ტალახაძე, ნინო ნოზაძე

**საერთაშორისო ექსპერტი:** ლორენა ბახმაიერი



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდგერა  
საქართველოში (PROLoG)

**IDFI**  
ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი



ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



# საქართველოს უზენაესი სასამართლო

ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი



2020

**საჩუქარი**

# 1. შესავალი

საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოდგენს ერთადერთ საკასაციო სასამართლოს ქვეყანაში. სამართლებრივ სახელმწიფოში საკასაციო ინსტანციის მნიშვნელოვანი როლისა და ფუნქციის გათვალისწინებით, მისი დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაძლიერება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. უზენაესი სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანცია, ქმნის პრეცედენტს და ხელს უწყობს სამართლის განვითარებას. შესაბამისად, მისი ინსტიტუციური მოწყობისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა არსებითად მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობის განმტკიცებისათვის.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის<sup>1</sup> ფარგლებში, მნიშვნელოვნად შეიცვალა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების/თავმჯდომარის შერჩევის წესი და მათი კანდიდატურის პარლამენტისათვის წარდგენის უფლებამოსილება საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭა. გარდა ამისა, საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად, გაძლიერდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დაცვის გარანტიები და მსგავსად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, მათი თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.

უზენაეს სასამართლოსთან დაკავშირებულ სამართლებრივ ჩარჩოს ცალკეული დადებითი ცვლილებები შეეხო სასამართლო რეფორმის ე.წ. „მესამე ტალღის“ ფარგლებში. კერძოდ, შეიზღუდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ფართო უფლებამოსილებები და პალატების (გარდა დიდი პალატისა) შემადგენლობების დაკომპლექტებისას კანდიდატის დასახელების უფლება პლენუმის ყველა წევრს მიენიჭა. ასევე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჩამოერთვა მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება. გარდა ამისა, გარკვეულწილად გაიზარდა უზენაესი სასამართლოს პლენუმის საქმიანობის გამჭვირვალობა და ორგანული კანონით დადგინდა პლენუმის სხდომების საჯაროობა.

აღნიშნული ცვლილებების ფონზე, წარმოდგენილი კვლევა მიმოიხილავს იმ ინსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოს, რაც შეიქმნა ე.წ. „მესამე ტალღისა“ და საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ. კვლევა აანალიზებს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორც არის: უზენაესი სასამართლოს როლი და ადგილი სასამართლო სისტემაში, მისი დაკომპლექტება, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები, თავმჯდომარის/მოსამართლეთა პასუხისმგებლობა, უზენაესი სასამართლოს პლენუმის კომპეტენცია, პალატების მუშაობა და საქმეთა განაწილება.

<sup>1</sup> საკონსტიტუციო ცვლილება ამოქმედდა 2018 წლის 16 დეკემბერს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია იმ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ხარვეზებზე, რომელთა დროული გადაწყვეტა არსებითად მნიშვნელოვანია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის მოქმედი წესი, რომელიც სრულად ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ უნდობლობის ხარისხის გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს დაკომპლექტებას დამსახურების პრინციპის საფუძველზე. ასევე, პრობლემურია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ცალკეული ფართო უფლებამოსილებები და თავმჯდომარის მოადგილეთა ფუნქციების ბუნდოვანება. გარდა ამისა, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება უზენაესი სასამართლოს პლენუმის დაკომპლექტებისა და მისი უფლებამოსილებების საკითხი. ხარვეზიანია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიერ სხვა პალატის შემადგენლობაში უფლებამოსილების განხორციელების პრაქტიკა. პრობლემურია საქმის განაწილების წესი, რომელიც აჩენს კოლეგიური შემადგენლობის სამართლებრივი რეგულირების მიღმა თვითნებურად დაკომპლექტების რისკს.

კვლევის მიზანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოსთან დაკავშირებით არსებული გამოწვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება, ასევე საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შეთავაზებით უზენაესი სასამართლოს შემდგომი რეფორმირების მხარდაჭერა.

## 2. მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევაზე მუშაობის პროცესში პროექტის გუნდმა გამოიყენა შემდეგი მეთოდოლოგია:



### სამართლებრივი აქტების ანალიზი

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა უზენაეს სასამართლოსთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზს. კვლევის ავტორებმა შეისწავლეს სამართლებრივი აქტები, რომლებიც აწესრიგებს უზენაესი სასამართლოს ადგილსა და როლს სასამართლო სისტემაში, მის უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს, მოსამართლეთა/თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის, მათი პასუხისმგებლობისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესს, პლენუმისა და თავმჯდომარის უფლებამოსილებებს, მოსამართლეთა სპეციალიზაციისა და საქმეთა განაწილების საკითხს. ამ მიზნით, პროექტის გუნდმა დაამუშავა საქართველოს კონსტიტუცია, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტები, ასევე უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებები. სამართლებრივი აქტების ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა არსებული გამონკვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება. პროექტის ფარგლებში საქართველოს კონსტიტუციის კრიტიკული შეფასება/ანალიზი არ მომხდარა. შესაბამისად, კვლევა არ მოიცავს რეკომენდაციებს ქვეყნის უზენაესი კანონის ცვლილების თაობაზე.



### საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

შიდა სამართლებრივი ჩარჩოს გარდა, კვლევის ავტორებმა შეისწავლეს საერთაშორისო სტანდარტები და შეაფასეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა რელევანტურ რეკომენდაციებსა და დასკვნებთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE), ევროპის საბჭოს, მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ), ვენეციის კომისიის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) დასკვნებსა და რეკომენდაციებს.



## ინდივიდუალური ინტერვიუები

არსებული გამოწვევების დამატებით იდენტიფიცირების, ასევე განწყობებისა და მოსაზრებების ანალიზის მიზნით, პროექტის გუნდი წინასწარ შედგენილი კითხვარით ინდივიდუალურად გაესაუბრა მოსამართლეებს/ყოფილ მოსამართლეებს, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს, ადვოკატებს, ასევე სახალხო დამცველის წარმომადგენელს. კვლევის ფარგლებში პროექტის გუნდი ჯამში 10 რესპონდენტს<sup>2</sup> გაესაუბრა. ინტერვიუები ჩატარდა 2019 წლის ივნისსა და ივლისში. წინამდებარე კვლევაში ინტერვიუს შედეგების ასახვა ემსახურება გამოკითხული რესპონდენტების მოსაზრებების ილუსტრაციას და მიზნად არ ისახავს შესაბამისი პროფესიული ჯგუფების შეხედულებების განზოგადებას.



## საჯარო ინფორმაციის მოქიანა და ანალიზი

კვლევის პროცესში პროექტის გუნდმა გააანალიზა საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან და სადისციპლინო კოლეგიიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია. გარდა ამისა, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია.



## მეორადი წყაროების ანალიზი

კვლევის ფარგლებში დამატებითი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა სახალხო დამცველის, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები, კვლევები და ანგარიშები.

<sup>2</sup> უზენაესი სასამართლოს 3 მოსამართლე, 3 ყოფილი მოსამართლე (მათგან 2 მოქმედი პროფესორი), 2 ადვოკატი, 1 აკადემიური სფეროს წარმომადგენელი, სახალხო დამცველის წარმომადგენელი.



### 3. ძირითადი მიზნები

საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზმა, პროფესიული ჯგუფების გამოკითხვის შედეგებმა და არსებულ პრაქტიკაზე დაკვირვებამ შემდეგი ძირითადი მიზნები და გამოწვევები გამოავლინა:

- მოქმედი კანონმდებლობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში არ ითვალისწინებს სათანადო გარანტიებს, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლეთა დანიშვნას დამსახურების პრინციპის საფუძველზე;
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას სამ ეტაპინი ფარული კენჭისყრა ეწინააღმდეგება ამ მხრივ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან გამორიცხავს გადანყვეტილების დასაბუთების (კანდიდატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსთან შესაბამისობის თაობაზე) შესაძლებლობას;
- პირველი ფარული კენჭისყრა გამორიცხავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ ინფორმირებული გადანყვეტილების მიღებას, რადგან ამ ეტაპზე საბჭოს წევრებისთვის ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლეობის კანდიდატი ფორმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და გადანყვეტილებას იღებენ მხოლოდ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც მითითებულია კანდიდატის განაცხადში;
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხები, კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, საბჭოს წევრების მონაწილეობა შერჩევის პროცედურებში, ასევე პირველი ფარული კენჭისყრისას ხმების ერთნაირი სქემით გადანაწილება, რამაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკანონმდებლო ჩარჩოს ხარვეზებს და საზოგადოებაში კითხვის ნიშნები გააჩინა;
- პარლამენტის რეგლამენტი არ იძლევა ცხად წარმოდგენას იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფუნქციურ დანიშნულებაზე, არ ითვალისწინებს გარე ექსპერტების სავალდებულო ჩართულობას, არ ადგენს ექსპერტებისა და პარლამენტის წევრების, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის კვლას;
- იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის მიერ შესრულებულმა სამუშაომ ცხადყო, რომ ის არ ემსახურებოდა კანდიდატების შინაარსობრივ შეფასებას და შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტექნიკური ფუნქციის შესრულებით;

- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევის წესი ხარვეზიანია, ვინაიდან პირველ ეტაპზე ხმათა 2/3-ის მიუღწევლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. შესაბამისად, მეორე კენჭისყრისას არამოსამართლე წევრებს არ აქვთ არავითარი გავლენა შერჩევის პროცესზე და ფაქტობრივად გამოირიცხება გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსის საფუძველზე;
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მინიჭებული აქვს ცალკეული ფართო უფლებამოსილებები, ასევე იკვეთება ფუნქციების დუბლირება იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან;
- კანონმდებლობაში ბუნდოვანია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთა ფუნქციები. გაუგებარია ამ პოზიციის არსებობის საჭიროება, რაც უზენაეს სასამართლოში იერარქიის წარმოქმნას უწყობს ხელს;
- კანონმდებლობის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების ყოფნა, რაც არ შეესაბამება უზენაესი სასამართლოს როლსა და ადგილს სასამართლო სისტემაში;
- კანონმდებლობა უზენაესი სასამართლოს პლენუმს ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილებას, ასევე უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის ოდენობის განსაზღვრის უფლებას; გარდა ამისა, იკვეთება კომპეტენციების დუბლირება პლენუმსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის;
- პლენუმის გადაწყვეტილებები პროაქტიულად არ ქვეყნდება უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე, რაც გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს;
- დამკვიდრებული პრაქტიკით, უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, მოსამართლეს დროებით ეკისრება სხვა პალატის შემადგენლობაში უფლებამოსილების განხორციელება. შედეგად, ეს მოსამართლეები უფლებამოსილნი არიან განიხილონ სამივე პალატის ქვემდებარე საქმეები. უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებები შაბლონურია;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, საქმე ეწერება სხდომის თავმჯდომარეს/მომხსენებელ მოსამართლეს. წესი დამატებით არ ითვალისწინებს კოლეჯის სხვა 2 წევრის შერჩევის პროცედურას, რაც აჩენს კოლეგიური შემადგენლობის თვითნებურად დაკომპლექტების რისკს.

## 4. უზენაესი სასამართლოს როლი და ადგილი სასამართლო სისტემაში

უზენაესი სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს ძირითად ფუნქციას სამართლებრივი სიცხადისა და პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა, ასევე სამართლის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. უზენაესი სასამართლოს ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი ხაზს უსვამს მის საკასაციო როლს,<sup>3</sup> ხოლო ორგანული კანონის თანახმად, უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში.<sup>4</sup> ამგვარი ჩანაწერი შეესაბამება უზენაესი სასამართლოს ძირითად როლსა და ადგილს სასამართლო სისტემაში, რადგან უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს დანიშნულება ინდივიდუალურ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების გზით სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფაა.<sup>5</sup>

გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილი უზენაესი სასამართლოს როლსა და ძირითად ფუნქციას სწორედ თანმიმდევრული პრაქტიკის უზრუნველყოფასა და სამართლის განვითარებას უკავშირებს.

წინა წლებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელში კონცენტრირებული ძალაუფლება და უზენაეს სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის კომპეტენციების გადაფარვა სასამართლო სისტემის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით გაურკვევლობას წარმოშობდა. უზენაესი სასამართლოს ფართო უფლებამოსილებები სცდებოდა მისი, როგორც საკასაციო ინსტანციის სასამართლოს, როლსა და ფუნქციას. ბოლო წლებში გატარებული რეფორმების<sup>6</sup> შედეგად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ცალკეული გადაჭარბებული უფლებამოსილებები შეიზღუდა და გადანაწილდა, რაც მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>4</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-14 მუხლი მე-2 პუნქტი.

<sup>5</sup> Venice Commission, CDL-INF (2000)5. ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdfFile=CDL-INF\(2000\)005-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdfFile=CDL-INF(2000)005-e) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>6</sup> მაგ. თუ მანამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების, ასევე, სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრების კანდიდატებს მოსამართლეთა კონფერენციას ექსკლუზიურად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წარუდგენდა, სასამართლო რეფორმის „პირველი ტალღის“ ცვლილებების თანახმად, კონფერენციის თითოეულ წევრს მიენიჭა კანდიდატების დასახელების უფლება. ასევე, „პირველი ტალღის“ რეფორმის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესი სკოლა დისტანცირდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან. გარდა ამისა, სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ საკანონმდებლო ცვლილებით, შეიზღუდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის როლი პალატების დაკომპლექტებასა და დისციპლინურ სამართალწარმოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია ხაზს უსვამს უზენაესი სასამართლოს საკასაციო როლს, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს კვლავ გააჩნია ცალკეული იმგვარი უფლებამოსილებებიც, რაც დაკავშირებული არ არის მართლმსაჯულების განხორციელებასთან. ამგვარი რეგულირება იწვევს კომპეტენციების აღრევას იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან.<sup>7</sup> მაგალითისთვის<sup>8</sup>, უზენაესი სასამართლოს პლენუმის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის დაცვა და განმტკიცება და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა<sup>9</sup>, რაც ამავდროულად საბჭოს კონსტიტუციური მოვალეობაა<sup>10</sup>. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლო ამუშავებს და აქვეყნებს საერთო სასამართლოების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს<sup>11</sup>, რაც საბჭოს, როგორც მართლმსაჯულების ხარისხსა და ეფექტიანობაზე პასუხისმგებელი უწყების<sup>12</sup>, კომპეტენციას უნდა წარმოადგენდეს. მოქმედი კანონმდებლობით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლო ხელისუფლების სახელით წარმართავს ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და მოსახლეობასთან<sup>13</sup>, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს.

საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში გაფართოვდა საბჭოს კონსტიტუციური უფლებამოსილებები და არსებულ ჩამონათვალს დამატდა საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა<sup>14</sup>, რის შედეგადაც ქვეყნის უზენაესი კანონით უფრო ნათლად განიმარტა საბჭოს ძირითადი ფუნქციური დანიშნულება. გარდა ამისა, საბჭოსა და უზენაეს სასამართლოს შორის ფუნქციების გამიჯვნის თვალსაზრისით მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეებისათვის იმუნიტეტის მოხსნის უფლებამოსილების უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კომპეტენციიდან საბჭოსათვის გადაცემა.<sup>15</sup>

მიუხედავად აღნიშნული დადებითი ცვლილებებისა, კანონმდებლობაში არსებული ცალკეული ხარვეზების<sup>16</sup> აღმოფხვრა არსებითად მნიშვნელოვანია უზენაეს სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის კომპეტენციების ეფექტურად გამიჯვნის თვალსაზრისით.

---

<sup>7</sup> კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა, რეფორმები და პერსპექტივები, 2017. გვ. 112. ხელმისაწვდომია: <http://www.coalition.ge/files/pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 31 ივლისს).

<sup>8</sup> აღნიშნული საკითხები დეტალურად განხილულია მე-7 და მე-9 თავებში.

<sup>9</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>10</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>11</sup> <http://www.supremecourt.ge/statistics/> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 21 აგვისტოს).

<sup>12</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>13</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>14</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>15</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>16</sup> ეს ხარვეზები დეტალურად განხილულია მე-7 და მე-9 თავებში.

## 5. უზენაესი სასამართლოს დაკომპლექსება

სასამართლოს დამოუკიდებლობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის წესი, მისი უფლებამოსილების ვადა და გარე ზეგავლენისგან დამცავი გარანტიები განაპირობებს.<sup>17</sup> კვლევის ამ თავში შეფასებულია მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო და უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების პროცესი.

მიზანშეწონილია, კანონმდებლობით სათანადოდ იყოს გარანტირებული იმ პირთა მიერ ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა, რომელთაც სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება არ აქვთ, რადგან მხოლოდ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებით უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებამ შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს სისტემის იზოლაცია მაშინ, როდესაც განსხვავებული გამოცდილების მქონე პროფესიონალებს შეუძლიათ უზრუნველყონ სისტემის ღიაობა ახალი მოსაზრებებისა და იდეებისადმი.<sup>18</sup>

საერთაშორისო სტანდარტებით საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ მოსამართლეთა დანიშვნა უნდა განხორციელდეს დამსახურების პრინციპის საფუძველზე.<sup>19</sup> გარდა ამისა, არსებული სტანდარტები ხაზს უსვამს პროცესის გამჭვირვალობისა და ღიაობის მნიშვნელობას. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) თანახმად, უნდა არსებობდეს კანდიდატთა შერჩევის პირობათა სრული გამჭვირვალობა ისე, რომ მოსამართლეებს და თავად საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა დარწმუნდნენ იმაში, რომ დანიშვნა ექსკლუზიურად გამომდინარეობდა კანდიდატის დამსახურებიდან და დაეფუძნა მის კვალიფიკაციას, უნარებს, პატიოსნებას, დამოუკიდებლობის განცდას, მიუკერძოებლობასა და ეფექტურობას.<sup>20</sup> გარდა ამისა, მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, დანიშვნის პროცესი უნდა იყოს ღია საზოგადოებრივი მსჯელობისათვის და სრულად და სათანადოდ დოკუმენტირებული.<sup>21</sup>

<sup>17</sup> მაგალითისთვის იხილეთ: *Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 78.

<sup>18</sup> Venice Commission, CDL-AD(2018)003, 19.03.2018, § 31. ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2018\)003-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)003-e) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>19</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(94)12, პირველი პრინციპი; CCJE დასკვნა N1(2001), § 17.

<sup>20</sup> CCJE დასკვნა N10 (2007), § 50.

<sup>21</sup> ENCJ, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, გვ. 22. ხელმისაწვდომია: [https://www.ency.eu/images/stories/pdf/workinggroups/independence/encj\\_report\\_independence\\_accountability\\_adopted\\_version\\_sept\\_2014.pdf](https://www.ency.eu/images/stories/pdf/workinggroups/independence/encj_report_independence_accountability_adopted_version_sept_2014.pdf) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 16 სექტემბერს).

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის<sup>22</sup> ფარგლებში, მნიშვნელოვნად შეიცვალა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის წესი და მათი კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭა<sup>23</sup>. საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელებამდე საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატურას საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენდა<sup>24</sup>. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჩართულობა წარმოადგენდა ვენეციის კომისიის რეკომენდაციას.<sup>25</sup>

საკონსტიტუციო ცვლილებით<sup>26</sup> ასევე დადგინდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მინიმალური რაოდენობა და ორგანული კანონით ის 28 მოსამართლით განისაზღვრა<sup>27</sup>. მოსამართლეთა მინიმალური რაოდენობის დადგენა არ ეფუძნებოდა არავითარ კვლევას, შესაბამისად, ბუნდოვანია, რა ფაქტორებსა და მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვრა აღნიშნული რიცხვი.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს წევრების უვადოდ დანიშვნა<sup>28</sup>, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.<sup>29</sup> აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები 10 წლის ვადით ინიშნებოდნენ<sup>30</sup>.

---

<sup>22</sup> საკონსტიტუციო ცვლილება ამოქმედდა 2018 წლის 16 დეკემბერს.

<sup>23</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>24</sup> საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, 90-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>25</sup> Venice Commission, CDL-AD(2017)023, 09.10.2017, § 45. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2017\)023-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2017)023-e) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>26</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. კონსტიტუციით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მინიმალური რაოდენობის დადგენას მხარს უჭერდა ვენეციის კომისიაც, როგორც უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს დამოუკიდებლობის დამატებით გარანტიას. Venice Commission, CDL-AD(2017)013, 19.06.2017, § 78. ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2017\)013-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2017)013-e)

<sup>27</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>28</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა წარმოადგენდა ვენეციის კომისიის რეკომენდაციას. Venice Commission, CDL-AD(2010)028 § 86. ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)028-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)028-e) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს). ასევე იხილეთ CM/Rec (2010)12, § 49-50. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16807096c1> (ბოლოს ნანახია: 2019 წლის 13 სექტემბერს).

<sup>29</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>30</sup> საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, 90-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დღის წესრიგში დადგა როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატის წარდგენის პროცედურის დეტალური მოწესრიგება, ასევე პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევის ეტაპის ცხადად რეგულირება. მოსამართლეთა შერჩევის პროცესში არსებითად მნიშვნელოვანია სათანადო საკანონმდებლო გარანტიების არსებობა იმისათვის, რომ მართლმსაჯულება განახორციელონ იმ პირობებში, რომლებიც საკუთარი პროფესიული გამოცდილებითა და პიროვნული მახასიათებლებით შესაბამებიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს.

2018 წლის 24 დეკემბერს საბჭომ ყოველგვარი პროცედურის გარეშე პარლამენტს წარუდგინა ისეთი კანდიდატები, რომელთა უმეტესობა უკანონო და უსამართლო მართლმსაჯულების განხორციელებასთან ასოცირდებოდა საზოგადოებაში. საბჭომ პარლამენტს წარუდგინა სია, რომელიც დახურულ კარს მიღმა, რამდენიმე მოსამართლის მიერ იყო შედგენილი. 2018 წლის 26 დეკემბერს, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის პროტესტის შედეგად, პარლამენტის თავმჯდომარემ პროცესი პარლამენტის საგაზაფხულო სესიისთვის გადადო. მოგვიანებით ყველა მოსამართლეობის კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურა უკან გაიწვია.<sup>31</sup>

2019 წლის 1 მაისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით<sup>32</sup> ორგანული კანონით დარეგულირდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენისა და არჩევის პროცესი, რომელიც სრულად არ ასახავს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების<sup>33</sup> რეკომენდაციებს. ამავდროულად უნდა აღინიშნოს ნდობის ნაკლებობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ, რამეც ყურადღება გამახვილდა ვენეციის კომისიის<sup>34</sup> დასკვნაში და რაც საფრთხეს უქმნის უზენაესი სასამართლოს დამოუკიდებლობის პროცესის ობიექტურად და სამართლიანად წარმართვას.

---

<sup>31</sup> ხელმისაწვდომია: [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=197&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=197&clang=0) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს) [https://idfi.ge/ge/letter\\_to\\_venice\\_commission\\_and\\_osce\\_odhr\\_on\\_draft\\_law\\_on\\_selection\\_of\\_supreme\\_court\\_justices](https://idfi.ge/ge/letter_to_venice_commission_and_osce_odhr_on_draft_law_on_selection_of_supreme_court_justices) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს).

<sup>32</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 01.05.2019. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4550937?publication=0>

<sup>33</sup> Venice Commission, CDL-PI(2019)002, 16.04.2019. ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2019\)002-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2019)002-e) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს) OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/417599?download=true> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>34</sup> Venice Commission, CDL-PI(2019)002, 16.04.2019. § 14; 63.

ალსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე რესპონდენტი არსებულ საკანონმდებლო რეგულირებას საბოლოო ჯამში დადებითად აფასებს, თუმცა უმთავრეს პრობლემად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ უნდობლობას ასახელებს.



**სახალხო დამცველის წარმომადგენელი:** „გასათვალისწინებელია ის საკითხი, რომელიც ეხება თვითონ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ქართულ რეალობაში ამ ინსტიტუტს არ აქვს ის ნდობა, რომელიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავდა, როგორი კარგი კანონიც არის, იგივენაირ აღქმადობას.“

**ასოცირებული პროფესორი:** „ვენეციის კომისიამ მეორე ვიზიტის დროს ადგილზე სრულად გააცნობიერა სიტუაციის სიმძიმე და ძალიან ნათლად დაინახა, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არანაირი საზოგადოებრივი ნდობა და ლეგიტიმაცია არ გააჩნია... ცხადია, რომ საბჭოს მექანიზმი ვერ არის ადეკვატური ფილტრი სწორედ იმის გამო, რომ საბჭოს სისტემაც იმგვარად ბოროტად არის გამოყენებული, რომ პარლამენტის დანიშნული წევრები, რომლებიც იქ უნდა ასრულებდნენ საზოგადოებრივი კონტროლის და ანგარიშვალდებულების ფუნქციას, არ ასრულებენ და არიან უბრალოდ მოქმედი საპარლამენტო უმრავლესობის ემისრები“.

**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „ჩვენ კანონი არ გვაქვს ცუდი, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია ინდივიდუალურ კეთილსინდისიერებაზე. ამ კანონს როგორ გამოიყენებენ კონკრეტული ინდივიდები, მათზეა დამოკიდებული. კითხვის ნიშნები ყველა არის სამართლიანი. ახლანდელი პროცესის მიმართ იცით რატომ არ მაქვს სანდოობა? ეს ის წევრები არიან, რომლებმაც დეკემბერში ნაგლეჯზე დაწერილი სია გაგზავნეს. თუკი ამ საბჭომ ერთხელ ათკაციანი სია მოულოდნელად გაგზავნა, მე არ მაქვს საფუძველი, როგორც მოსამართლეს და მოქალაქეს, ვენდო საბჭოს.“





## 5.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შერჩევა და წარდგენა



### უზენაესი სასამართლოს მოსამართლისადმი წაყენებული მოთხოვნები და შერჩევის კრიტერიუმები

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს მოსამართლისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს: საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.<sup>35</sup> მოქმედი კანონმდებლობით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევი პირი თავისუფლდება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა<sup>36</sup> და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან.<sup>37</sup>

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გამოცდის სახით დამატებით ბარიერს სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატებისათვის, რადგან გამოცდა არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კომპეტენციის შემოწმების ერთადერთი საშუალება. კანდიდატები უნდა შეფასდნენ მათი სუფთა პროფესიული წარსულითა და დადასტურებული კომპეტენციით, რაც უნდა დადგინდეს სათანადოდ რეგულირებული და გამჭვირვალე შერჩევის პროცედურების შედეგად.

როგორც ვენეციის კომისია<sup>38</sup>, ასევე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/ODIHR)<sup>39</sup> გასცა რეკომენდაცია სამუშაო გამოცდილების მოთხოვნის ნაწილში წლების რაოდენობის გაზრდის თაობაზე, თუმცა ეს რეკომენდაცია პარლამენტმა არ გაითვალისწინა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალი სტატუსიდან გამომდინარე, კანონმდებლობა მის მიმართ უნდა ადგენდეს უფრო მაღალ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ქვემდგომი ინსტანციის მოსამართლეებისათვის. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილებას სამივე ინსტანციის მოსამართლეებისათვის, რაც მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.

<sup>35</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 63-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>36</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან გათავისუფლება წარმოადგენდა ვენეციის კომისიის რეკომენდაციას. Venice Commission, CDL-PI(2019)002, 16.04.2019, § 22; 30.

<sup>37</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

<sup>38</sup> Venice Commission, CDL-PI(2019)002, 16.04.2019, § 31.

<sup>39</sup> OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019, § 15; 32.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევისას ხელმძღვანელობს იმ კრიტერიუმებით, რაც პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეების შერჩევისას გამოიყენება, კერძოდ, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით.<sup>40</sup> მოქმედი კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლებს.<sup>41</sup>



### იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კონკურსის გამოცხადება

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიის წარმოშობამდე არაუგვიანეს 3 თვისა ან უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა იუსტიციის უმაღლესი საბჭო იწყებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურას<sup>42</sup>. საბჭო შერჩევის პროცედურის დაწყებას აცხადებს საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს და თავისი ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით და შესაბამის ინფორმაციას აწვდის საზოგადოებრივ მაუწყებელს და არანაკლებ 2 ეროვნულ მაუწყებელს.<sup>43</sup>

ორგანული კანონის თანახმად, საბჭო ადგენს პირის მიერ შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმას.<sup>44</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზე განცხადებები მიიღება შერჩევის პროცედურის დაწყებიდან 3 კვირის განმავლობაში.<sup>45</sup>

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით<sup>46</sup> დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმა, კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა და სპეციალური კითხვარი, ასევე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა.

<sup>42</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>45</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>46</sup> ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/41-2019.pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

ორგანულ კანონში შესული ცვლილების<sup>47</sup> ამოქმედებიდან რამდენიმე დღეში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით დაინყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.<sup>48</sup> აღნიშნული პროცედურა წარმოადგენდა საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კონკურსის წესით შერჩევის პირველ შემთხვევას.



### კონკურსის ეტაპები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

ორგანული კანონის თანახმად, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პირის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ, თუ იგი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებს და მას სრულყოფილად აქვს წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები.<sup>49</sup>

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრის ჩატარებას სამ ეტაპად.



#### პირველი ეტაპი

პირველ ეტაპზე საბჭოს თითოეული წევრი ბიულეტენში ფარულად შემოხაზავს არაუმეტეს იმ რაოდენობის კანდიდატს, რამდენი ვაკანსიაც არის გამოცხადებული<sup>50</sup>. თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ან 2 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 3-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი<sup>51</sup>. თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია არანაკლებ 3 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 2,5-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება<sup>52</sup>.

<sup>47</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 01.05.2019.

<sup>48</sup> ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/43-2019.pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>49</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>50</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> იქვე.

კენჭისყრის პირველი ეტაპის არსებული რეგულირება რისკის ქვეშ აყენებს დამსახურების საფუძველზე კანდიდატების შერჩევას, რადგან ამ ეტაპზე საბჭოს წევრებისთვის ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ კანდიდატი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ფორმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს<sup>53</sup>. კონკურსის ამ ეტაპზე საბჭოს წევრები არ აფასებენ კანდიდატებს, არ ტარდება მათთან გასაუბრება და საბჭო არ ასაბუთებს, რომ კანდიდატი შეესაბამება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს. ამგვარი პროცედურის შედეგად, როგორც კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის უცნობია, რის საფუძველზე გადავიდნენ ან ვერ გადავიდნენ ცალკეული კანდიდატები შემდგომ ეტაპზე. აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ მხრივ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ხაზს უსვამს დამსახურების პრინციპის საფუძველზე კანდიდატების შერჩევას<sup>54</sup> და შერჩევის პროცესის სრულად და სათანადოდ დოკუმენტირებას<sup>55</sup>.

პირველ ფარდობით კენჭისყრას აკრიტიკებს გამოკითხული ორი ყოფილი მოსამართლეც. ერთ-ერთის თანახმად, ამგვარი რეგულირება ქვედა ინსტანციის სასამართლოებთან შედარებით დაბალ სტანდარტს ადგენს, რადგან პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის დროს ყველა კანდიდატი თანაბარ პროცედურას გადის, მათი რაოდენობის მიუხედავად. მეორე რესპონდენტის თანახმად, პირველადი გაცხრილვა გაუგებარია, რადგან კონკურსანტმა იცის მხოლოდ შედეგი, რამდენმა ადამიანმა დაუჭირა ან არ დაუჭირა მხარი. მისი თქმით, კანდიდატთა რაოდენობიდან გამომდინარე, 2.5 კოეფიციენტით შემზღუდა და თავდაპირველი გაცხრილვის დაუსაბუთებლობა პროცესს ჩრდილს აყენებს.



## შეჯამება

ორგანული კანონის თანახმად, შემდგომ ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან ინდივიდუალურად ტარდება საჯარო მოსმენა.<sup>56</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) თანახმად, მიკერძოებისა და დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, ასევე ყველა კანდიდატის მიმართ სამართლიანი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია სტრუქტურული მიდგომისა და გასაუბრების სტანდარტული ფორმატის არსებობა, რაც შეამცირებს სუბიექტურობის ფარგლებს კითხვების დასმისა და რანგირების პროცესში.<sup>57</sup>

<sup>53</sup> [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=204&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=204&clang=0) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>54</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(94)12, პირველი პრინციპი; CCJE დასკვნა N1(2001), § 17.

<sup>55</sup> ENCJ, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, გვ 22.

<sup>56</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 341-ე მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტები.

<sup>57</sup> OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019, § 62.

მოსმენის დაწყებამდე საბჭოს თითოეულ წევრს შესასწავლად გადაეცემა კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაცია.<sup>58</sup> მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატები ფასდებიან ქულებით.<sup>59</sup>

კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ, უახლოეს სხდომაზე, საბჭო ფარულად უყრის კენჭს კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე დაყვანის მიზნით.<sup>60</sup> შემდგომ ეტაპზე გადადის საუკეთესო შედეგის მქონე იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც არის გამოცხადებული.<sup>61</sup> კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება.<sup>62</sup>



## მესამე ეტაპი

კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ კენჭი სათითაოდ ეყრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების პარლამენტისთვის წარდგენას.<sup>63</sup> კანდიდატი წარდგენილად ჩაითვლება, თუ მას საბჭოს ღია სხდომაზე, ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.<sup>64</sup>

მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს არამოსამართლე წევრთა ადეკვატურ ჩართულობას კანდიდატთა ნომინირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. საბჭოს მიერ კანდიდატის წარდგენისთვის საჭიროა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის თანხმობა, რაც მოსამართლე წევრთა რაოდენობიდან გამომდინარე, დამატებით მხოლოდ 2 არამოსამართლე წევრის თანხმობას საჭიროებს, რაც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მათ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>65</sup> მიზანშეწონილია გადაწყვეტილება მიღებულ იქნას საბჭოს მოსამართლე წევრების 2/3-ისა და არამოსამართლე წევრების 2/3-ის მიერ.<sup>66</sup>

<sup>58</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

<sup>59</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

<sup>60</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-13 პუნქტი.

<sup>64</sup> იქვე.

<sup>65</sup> [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=207&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=207&clang=0) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 31 ივლისს).

<sup>66</sup> [https://idfi.ge/ge/letter\\_to\\_venice\\_commission\\_and\\_osce\\_odhir\\_on\\_draft\\_law\\_on\\_selection\\_of\\_supreme\\_court\\_justices](https://idfi.ge/ge/letter_to_venice_commission_and_osce_odhir_on_draft_law_on_selection_of_supreme_court_justices) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 31 ივლისს). ამგვარ მიდგომას მხარს უჭერდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, აშშ-ს საელჩო საქართველოში, ევროკავშირის დელეგაცია და ევროპის საბჭოს ოფისი.

რაც შეეხება თავად კენჭისყრის ფარულობას და დასაბუთების სავალდებულობას, ამ საკითხთან დაკავშირებით წინამდებარე კვლევა კონკრეტულ ხედვაზე არ კონცენტრირდება. არსებობს ორი მიდგომა: ერთის მიხედვით, მას შემდეგ, რაც საბჭო კანდიდატურების უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსთან შესაბამისობას დაასაბუთებს, საჭირო აღარ არის ღია კენჭისყრა და მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტირება. ეს ხედვა კანდიდატა კონსენსუსუნარიანობაზე აკეთებს აქცენტს. მეორე ხედვის შესაბამისად კი აუცილებელია ღია კენჭისყრა და დასაბუთება. ამ შეხედულებას საფუძვლად კრიტერიუმებზე დაფუძნებული დანიშნისთვის უპირატესობის მინიჭება უდევს. საერთაშორისო სტანდარტი ამ უკანასკნელისკენ იხრება, რაც ქვემოთ არის დასაბუთებული.

ფარული კენჭისყრა ენინააღმდეგება ამ მხრივ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან გამორიცხავს გადაწყვეტილების დასაბუთების შესაძლებლობას.<sup>67</sup> ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას კრიტერიუმებით შეფასების საფუძველზე მიღებული ქულებით და არა ფარული კენჭისყრის საფუძველზე, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ როგორც კანდიდატები, ასევე საზოგადოება დარწმუნდეს, რომ გადაწყვეტილება დაეფუძნა კანდიდატის დამსახურებას.<sup>68</sup>

გარდა ამისა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მოსაზრების თანახმად, შერჩევის ყველა ეტაპზე განსაზღვრული უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული კრიტერიუმები, რათა საბოლოო ჯამში თანამდებობაზე საუკეთესო კანდიდატები დაინიშნონ. აღნიშნულ დასკვნაშიც ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ფარული კენჭისყრა ძირს უთხრის დამსახურებაზე დაფუძნებულ შერჩევის სისტემას და მიზანშეწონილია, საბჭოს წევრებმა მიიღონ ერთობლივი დასაბუთებული გადაწყვეტილება ცხადი კრიტერიუმების საფუძველზე.<sup>69</sup> იმავე დასკვნის თანახმად, ბუნდოვანი კრიტერიუმების საფუძველზე ან თვითნებურად გადაწყვეტილების მიღებამ შესაძლოა საბოლოოდ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) დარღვევა გამოიწვიოს.<sup>70</sup> გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა ხაზგასმულია მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ) რეკომენდაციებშიც, რომელიც ყურადღებას ამახვილებს წარუმატებელი კანდიდატის ინფორმირებაზე მისი წარუმატებლობის მიზეზების თაობაზე.<sup>71</sup>

---

<sup>67</sup> Venice Commission, CDL-PI(2019)002, 16.04.2019, § 33.

<sup>68</sup> Venice Commission, CDL-PI(2019)002, 16.04.2019, § 52.

<sup>69</sup> OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019, § 12; 57. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/417599?download=true> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>70</sup> OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019, § 61.

<sup>71</sup> [https://www.encj.eu/images/stories/pdf/workinggroups/encj\\_report\\_distillation\\_approved.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/workinggroups/encj_report_distillation_approved.pdf) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

რამდენიმე გამოკითხულმა რესპონდენტმა მკვეთრად უარყოფითად შეაფასა ფარული კენჭისყრა და ის არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს არსებით ხარვეზად მიიჩნია.



**სახალხო დამცველის წარმომადგენელი:** „მთავარი პრობლემა, რაც დღეს ამ ორგანულ კანონს აქვს არის ის, რომ კენჭისყრები ტარდება ფარულად, რაც ბევრ რაღაცაში პროცესს არღვევს, არ ხდის თანმიმდევრულს და გამჭვირვალეს, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.“

**ყოფილი მოსამართლე, პროფესორი:** „როცა მე ვალდებული ვარ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მივიღო გადაწყვეტილება, მაგრამ მერე ფარული კენჭისყრა შემოგაქვს, ეს ყველაფერს აზრს უკარგავს. მესმის, რომ ფარულობა ერთგვარი დაცვის მექანიზმია საბჭოს წევრისთვის, მაგრამ როცა თავს ვინწინებთ კარგი კრიტერიუმებით, მაგრამ ფარული გვაქვს კენჭისყრა, კითხვა ისმის, როგორ უტოლდება ეს ყველაფერი ერთმანეთს?“

**ადვოკატი:** „ფარული კენჭისყრები ვთვლი, რომ არ არის სწორი. ღიად რომ დაეტოვებინათ, უფრო სანდო იქნებოდა და ჩვენც მეტი ნდობა გვექნებოდა.“



ბემთ მოცემული არგუმენტები ანგარიშგასაწევია, თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ ის აფასებს არსებულ მოდელს და არა ავტორთა შეთავაზებას, რომლის მიხედვითაც საბჭომ გადაწყვეტილება ორმაგი 2/3-ით უნდა მიიღოს. საბოლოოდ, კვლევის ავტორები ერთიან რეკომენდაციას ამ მიმართულებით არ გასცემენ და მიიჩნევენ, რომ გადაწყვეტილება კანონმდებელმა რომელიმე კონცეპტუალური ხედვის შესაბამისად უნდა მიიღოს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ფარგლებში 2019 წლის 20 ივნისს ჩატარდა პირველი ფარული კენჭისყრა და 137 კანდიდატიდან შემდეგ ეტაპზე გადავიდა 50 კანდიდატი.<sup>72</sup> სახალხო დამცველის შეფასებით, საბჭოში გამართულმა პირველმა ფარულმა კენჭისყრამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკანონმდებლო ჩარჩოს სისუსტეს და გამოავლინა, თუ რა გამოწვევებია პრაქტიკაში.<sup>73</sup> სახალხო დამცველის შეფასებით, ბიულეტენებისა და მიცემული ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვებამ გამოავლინა 13-დან 10 ბიულეტენი, რომელიც შემოხაზული იყო ერთნაირი სქემითა და დამთხვევების ძალიან მაღალი ხარისხით, რამაც კითხვის ნიშნები გააჩინა.<sup>74</sup>

<sup>72</sup> <http://hcoj.gov.ge/ge/kenchiskris-shedegebi/3454> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 5 ივლისს).

<sup>73</sup> <http://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-ekhmianeba-uzenaesi-sasamartlos-mosamartleebis-sherchevis-mimdinare-protsess?fbclid=IwAR1H5JdpWU0-GvXaxxl4AAHsr2It3Nco4ImHVO2huvGfnll7BXXbQpnxSgw> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 5 ივლისს).

<sup>74</sup> იქვე.

პირველი ფარული კენჭისყრა გააკრიტიკეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც, რომელთა თანახმად, თუ საბჭოს თითოეული წევრი ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად და წინასწარი კომუნიკაციის (შეთანხმების) გარეშე მისცემდა ხმას სასურველ 20 კანდიდატს, კენჭისყრის ფარულობის გათვალისწინებით, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა მათ მიერ შერჩეული კანდიდატების ასეთი ზუსტი დამთხვევა.<sup>75</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ხარვეზის უარყოფითი შედეგები ცხადად გამოვლინდა საბჭოს მიერ ჩატარებული პირველი კონკურსის მიმდინარეობისას.



## ინტერესთა კონფლიქტი

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია, იგი არ სარგებლობს კანდიდატების შეფასებისა და ხმის მიცემის უფლებით პროცედურის არცერთ ეტაპზე. იგი ასევე არ არის უფლებამოსილი, კითხვით მიმართოს კანდიდატებს საბჭოს მიერ მათი მოსმენისას.<sup>76</sup> ამ ნაწილში, კანონპროექტის ინიციატორების მხრიდან გაზიარებულ იქნა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია.

ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, საბჭოს წევრი, რომელიც ამავდროულად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატია, უნდა ჩამოშორდეს შერჩევისა და ნომინირების პროცედურას. მსგავს მიდგომას იზიარებს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისიც (OSCE/ODIHR), თუმცა ალტერნატივის სახით ასევე აღნიშნავს, რომ შესაძლოა კანონით გათვალისწინებული იყოს საბჭოს წევრის გადადგომა მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად განაცხადის წარდგენამდე.<sup>77</sup>

აღნიშნულ დასკვნებში ასევე აღნიშნულია, რომ ინტერესთა კონფლიქტის სხვა გარემოებებიც უნდა იქნას გათვალისწინებული, მაგალითად, როდესაც კანდიდატი საბჭოს წევრის ახლო ნათესავია,<sup>78</sup> ასევე საბჭოს მოსამართლე წევრი მუშაობს კანდიდატთან, რა დროსაც უნდა გამოირიცხოს საბჭოს წევრის მონაწილეობა ნომინირების პროცედურაში.<sup>79</sup>

<sup>75</sup> [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=213&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=213&clang=0) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 29 ივლისს).

<sup>76</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 341-ე მუხლის მე-16 პუნქტი.

<sup>77</sup> OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019, § 63.

<sup>78</sup> Venice Commission, CDL-PI(2019)002, 16.04.2019, § 51.

<sup>79</sup> OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019, § 64.



უმენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას გამოიკვეთა აშკარა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები. შერჩევის პროცესში მონაწილეობას იღებდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების ნათესავები: თამარ ონიანის მეუღლის ძმა - ზურაბ აზნაურაშვილი და ირაკლი შენგელიას მეუღლის ძმა - ლევან თევზაძე. მიუხედავად აშკარა ინტერესთა კონფლიქტისა, საბჭოს აღნიშნული წევრები არ ჩამოცილდნენ შერჩევის პროცესს,<sup>80</sup> რამაც პროცესის ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმართვას მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის თანახმად, საჯარო მოსამსახურე, რომლის მოვალეობაა კოლექტიური ორგანოს შემადგენლობაში იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ამ ორგანოს სხვა წევრებს ან თავის უშუალო ხელმძღვანელს და უარი განაცხადოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე.<sup>81</sup> გარდა ამისა, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია ყურადღება გაამახვილოს ნებისმიერ არსებულ თუ შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობაზე, ასევე მიიღოს ზომები ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევის დაუშვებლობისთვის.<sup>82</sup> აღნიშნული კანონი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრებზეც ვრცელდება<sup>83</sup>. შესაბამისად, საბჭოს წევრების თვითაცილების ვალდებულება პირდაპირ გამომდინარეობდა ამ კანონიდან.

## **ე შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა**

შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა არსებითად მნიშვნელოვანია პირის მოსამართლედ გამწესების სამართლიანი პროცესისა და სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველსაყოფად. მოქმედი კანონმდებლობა კონკურსის მიმდინარეობისას ითვალისწინებს ცალკეული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

საბჭო კანდიდატებთან ინდივიდუალურად ატარებს საჯარო მოსმენას,<sup>84</sup> რაც დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან საჯაროობა მნიშვნელოვანია შერჩევის პროცესის ლეგიტიმურობისა და სანდოობის ხელშეწყობის თვალსაზრისით.<sup>85</sup>

<sup>80</sup> [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=213&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=213&clang=0) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 29 ივლისს).

<sup>81</sup> „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი, მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი.






<sup>82</sup> იქვე, მე-13<sup>4</sup> მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>83</sup> იქვე, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი და მე-2<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>84</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 341-ე მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტები.

<sup>85</sup> OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019, § 55.

ორგანული კანონის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება შემდეგი მონაცემები:

-  განმცხადებელთა სია, ავტობიოგრაფიები და ინფორმაცია კანდიდატად მათი რეგისტრაციის შესახებ;<sup>86</sup>
-  კანდიდატების ვინაობა, რომლებიც გადავიდნენ ორგანული კანონით გათვალისწინებულ თითოეულ ეტაპზე;<sup>87</sup>
-  კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა;<sup>88</sup>
-  კანდიდატების მიერ დაგროვებული ქულების რაოდენობა;<sup>89</sup>
-  უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება.<sup>90</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭო პარლამენტს უგზავნის წარდგინებას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ასარჩევად წარდგენის შესახებ<sup>91</sup>. წარდგინებასთან ერთად პარლამენტს ეგზავნება კანდიდატის განცხადება და თანდართული დოკუმენტები, აგრეთვე საბჭოს მიერ აღნიშნული კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიების შედეგად მიღებული მონაცემები<sup>92</sup>. ამ ინფორმაციის მოძიების შედეგად მიღებული მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, კონფიდენციალურია და მათი რაიმე ფორმით გამჟღავნება დაუშვებელია. აღნიშნული წარდგინება უნდა შეიცავდეს კანდიდატის შერჩევის პროცედურასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და კანდიდატის შესახებ საერთო ინფორმაციას.<sup>93</sup>

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში გამჭვირვალობასთან დაკავშირებით პრობლემური საკითხი გამოიკვეთა. რამდენიმე ორგანიზაციამ პირველი ფარული კენჭისყრის მეორე დღესვე დაიწყო კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა. თუმცა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თავდაპირველად უარი განაცხადა კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებაზე პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით. აღნიშნული უარი ეფუძნებოდა ორგანული კანონის ჩანაწერის არასწორ განმარტებას, რომლის მიხედვითაც პირი მხოლოდ საქართველოს პარლამენტისთვის ინფორმაციის (მათ შორის, პირის პერსონალური მონაცემების) გადაცემა/გასაჯაროებაზე აცხადებდა თანხმობას და არა ზოგადად გასაჯაროებაზე.

<sup>86</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>87</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტები.

<sup>88</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>89</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

<sup>90</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-13 პუნქტი.

<sup>91</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> იქვე.

საბჭომ გასაუბრების ეტაპზე გადასულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ სახალხო დამცველისა და სახელმწიფო ინსპექტორის წარმომადგენლების პოზიციების მოსმენის შემდეგ მიიღო, რომლებიც ყურადღებას ამახვილებდნენ მთლიან პროცესში აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროების მნიშვნელობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება საბჭომ გასაუბრებების დაწყებამდე 5 დღით ადრე მიიღო, რაც არაგონივრული ვადა იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 50 კანდიდატის შესახებ ინფორმაციის დასამუშავებლად, რამაც, საბოლოო ჯამში, ინფორმაციის გასაჯაროების მნიშვნელობა შეამცირა.<sup>94</sup>

### **3** გასაჩივრების მექანიზმი

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შეზღუდულ შესაძლებლობას. გასაჩივრება დასაშვებია მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის ეტაპზე. კერძოდ, ორგანული კანონის თანახმად, შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირს უფლება აქვს, პირის კანდიდატად რეგისტრაციასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საკვალიფიკაციო პალატა გადაწყვეტილებას იღებს 2 სამუშაო დღის ვადაში.<sup>95</sup> მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კანდიდატის ნომინირებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.

<sup>94</sup> [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=215&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=215&clang=0) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 11 ოქტომბერს).

<sup>95</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 341-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

2019 წლის ივნისში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას, საკვალიფიკაციო და ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის საფუძველით კონკურსიდან გამოთიშვა უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში ორმა პირმა<sup>96</sup> გაასაჩივრა.<sup>97</sup> საკვალიფიკაციო პალატამ არცერთი საჩივარი არ დააკმაყოფილა.<sup>98</sup>

გასაჩივრების მექანიზმის მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს არსებული საერთაშორისო სტანდარტები. მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი უნდა მოიცავდეს გასაჩივრების დამოუკიდებელ პროცედურას.<sup>99</sup> დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების საკითხზე ყურადღება ასევე გამახვილებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში.<sup>100</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) დასკვნაშიც ხაზგასმულია, რომ წარუმატებელ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ საბჭოს გადანყვეტილების სასამართლო ორგანოში გასაჩივრების შესაძლებლობა, სულ მცირე პროცედურული საფუძველით.<sup>101</sup>

---

<sup>96</sup> ერთი საჩივარი შეეხებოდა კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმას იმ საფუძველით, რომ საჩივრის ავტორს მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განსაზღვრული ჰქონდა თანამდებობიდან გათავისუფლება. ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლის თანამდებობაზე არ შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს პირი, რომელიც გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის საფუძველზე. საკვალიფიკაციო პალატის თანახმად, ორგანული კანონი არ ითვალისწინებს დისციპლინური სახდელის სახის - თანამდებობიდან გათავისუფლების გაქარწყლების შესაძლებლობას, შესაბამისად, არ არსებობდა კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2019 წლის 13 ივნისის გადანყვეტილება საქმეზე Nსსკ-02-19.

მეორე საჩივარი შეეხებოდა პირის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმას სპეციალობით მუშაობის 5 წლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო. საკვალიფიკაციო პალატის თანახმად, საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილი დოკუმენტები არ იყო შედგენილი კანონის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ მასზე არ იყო უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, შესაბამისად, საბჭომ მართებულად უთხრა უარი საჩივრის ავტორს კანდიდატად რეგისტრაციაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2019 წლის 12 ივნისის გადანყვეტილება საქმეზე Nსსკ-01-19.

<sup>97</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 ივლისის Nოს-401-19 და 2019 წლის 19 ივლისის Nნს/85-19 წერილი.


<sup>98</sup> იქვე.


<sup>99</sup> ENCJ, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, გვ 22.

<sup>100</sup> Recommendation No. R (94) 12 of the Committee of Ministers of the Council of Europe to Member States on the independence, efficiency and role of judges, adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe on 13 October 1994.

<sup>101</sup> OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019, § 12; 37.

არსებული საერთაშორისო სტანდარტებისგან განსხვავებით, მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს გასაჩივრების ეფექტურ მექანიზმს, რაც საფრთხეს უქმნის კონკურსის ობიექტურად წარმართვასა და გადაწყვეტილების მიღებას კანდიდატის დამსახურების საფუძველზე. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის გარდა, მნიშვნელოვანია გარანტირებული იყოს კონკურსის შედეგად საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა შემდეგი საფუძველებით:

 კონკურსი ჩატარდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით;

 ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოს გადაწყვეტილებას, არსებითად მცდარია, რის დასადასტურებლადაც მოსამართლეობის კანდიდატმა შესაბამისი მტკიცებულებები წარადგინა.

## 5.2. პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის საკითხის განმსაზღვრელი კომიტეტი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.<sup>102</sup> კომიტეტი უფლებამოსილია მოიძიოს/გადაამოწმოს შესაბამისი თანამდებობის პირის კანდიდატურის შესახებ საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, მისი ბიოგრაფიული ცნობების, შრომითი გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის შესახებ ინფორმაცია.<sup>103</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ქმნის სამუშაო ჯგუფს.<sup>104</sup>

მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობასა და უფლებამოსილებებს. კერძოდ, რეგლამენტი არ იძლევა ცხად წარმოდგენას სამუშაო ჯგუფის ფუნქციურ დანიშნულებაზე, არ ითვალისწინებს გარე ექსპერტების სავალდებულო ჩართულობას, არ ადგენს ექსპერტებისა და პარლამენტის წევრების, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის კვოტას.

<sup>102</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>103</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>104</sup> იქვე.

იმისათვის, რომ შემცირდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კონკურსის მიკერძოებულად ჩატარების რისკები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარლამენტის სამუშაო ჯგუფის მიუკერძოებლობას. მიზანშეწონილია, სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ მაღალი რეპუტაციის მქონე დამოუკიდებელი წევრები, რომლებიც გამოიკვლევენ კანდიდატების შესახებ ინფორმაციის სისრულეს და სისწორეს, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვენ დამატებით ინფორმაციას ყველა შესაძლო წყაროდან, მოამზადებენ დასკვნას თითოეულ დასახელებულ კანდიდატთან დაკავშირებით და წარუდგენენ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.<sup>105</sup>

2019 წლის სექტემბერში პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა სამუშაო ჯგუფი შექმნა.<sup>106</sup> უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ჯგუფში არ იყო წარმოდგენილი არც ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ასევე, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის პოლიტიკური ნიშნით გამოყოფილი კვოტების რაოდენობა იყო გადაჭარბებული, ხოლო აკადემიური წარმომადგენლების შერჩევაში მონაწილეობის შესაძლებლობა შესაბამისი დანესებულების წარმომადგენლებს არ ჰქონიათ.<sup>107</sup>

სამუშაო ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაო ცხადყოფს, რომ ის არ ემსახურებოდა კანდიდატების შინაარსობრივ შეფასებას და შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტექნიკური ფუნქციის შესრულებით. საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად<sup>108</sup>, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა სამუშაო ჯგუფის მიმართვის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ დამატებით მოეძიებინა შემდეგი სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

- ა) მოსამართლეობის კანდიდატების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- ბ) ინფორმაცია მოსამართლეობის კანდიდატების ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე;
- გ) ინფორმაცია მოსამართლეობის 18 კანდიდატის უმაღლესი იურიდიული განათლების დიპლომების შესახებ, მოსამართლეობის კანდიდატისთვის შესაბამისი კანონით განსაზღვრულ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

<sup>105</sup> [https://idfi.ge/ge/letter\\_to\\_venice\\_commission\\_and\\_osce\\_odhir\\_on\\_draft\\_law\\_on\\_selection\\_of\\_supreme\\_court\\_justices](https://idfi.ge/ge/letter_to_venice_commission_and_osce_odhir_on_draft_law_on_selection_of_supreme_court_justices) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 29 ივლისს).

<sup>106</sup> <http://parliament.ge/ge/saparlamnto-saqmianoba/komitetebi/iuridiul-sakitxta-komiteti-146/axali-ambebi-iuridiuli/iuridiul-sakitxta-komitetma-parlamentistvis-asarchevad-wardgenili-saqartvelos-uzenaesi-sasamartlos-mosamartleobis-kandidatibis-saqartvelos-kanonmdblobis-motxovnebtan-shesabamisobis-dadgenis-xelshewyobis-miznit-komitetis-samushao-djgufi-sheqmna.page> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 23 ოქტომბერს).

<sup>107</sup> [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=218&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=218&clang=0) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 23 ოქტომბერს).

<sup>108</sup> საქართველოს პარლამენტის აპარატის 2019 წლის 11 ოქტომბრის წერილი N11358/2-7/19.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგლამენტის ჩანაწერის პრაქტიკაში გამოყენებამ და სამუშაო ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათმა ნათლად დაადასტურა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობისა და მისი ფუნქციური დანიშნულების კანონმდებლობით ცხადად რეგულირების აუცილებლობა.

მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს პარლამენტის მიერ პროცესის ღიად წარმართვას. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი საჯარო სხდომაზე უსმენს თითოეულ კანდიდატს. კანდიდატების მოსმენა და კითხვა-პასუხი ტარდება სათითაოდ.<sup>109</sup> კომიტეტის სხდომაზე კანდიდატების მოსმენის შემდეგ კომიტეტი შეიმუშავებს დასკვნას, რომელიც უნდა შეიცავდეს კომიტეტის რეკომენდაციას თანამდებობის პირის კანდიდატურის მიმართ.<sup>110</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატურის მოსმენა პლენარულ სხდომაზე არ ხდება.<sup>111</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თითოეულ კანდიდატს კენჭი ცალკე ეყრება.<sup>112</sup>

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა ერთი და იმავე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში შეიძლება მხოლოდ ორჯერ.<sup>113</sup>

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენები იურიდიულ კომიტეტში გამჭვირვალედ წარიმართა. კითხვები შეეხებოდა როგორც სამართლებრივ, ისე ღირებულებით საკითხებს, ასევე სამუშაო გამოცდილებასა და მოსამართლე კანდიდატთა მიერ წარსულში განხილულ საქმეებს. კანდიდატთა ნაწილი, ხშირ შემთხვევაში, ვერ პასუხობდა ელემენტარულ სამართლებრივ შეკითხვებსაც კი. იშვიათი გამონაკლისების გარდა, კანდიდატების სამართლებრივი მსჯელობის უნარი იყო დაბალი, მათი პასუხები კი - დაუსაბუთებელი. ზოგიერთმა კანდიდატმა უარი განაცხადა კონკრეტული სუბიექტების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე. იყო დაუსაბუთებელი და გამოგონილი საფუძვლით შეკითხვებზე თავის არიდების შემთხვევებიც. მსგავსი დამოკიდებულება არა მხოლოდ პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის, არამედ ზოგადად, პროცესის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვლია და ცალსახად, უარყოფით შეფასებას იმსახურებს. მოსმენებმა ცხადყო, რომ კანდიდატების უმრავლესობა არაადეკვატურად აღიქვამს სამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებს, ვერ ხედავს როგორც წარსულში, ასევე აწმყოში სასამართლოში არსებულ პრობლემებს ან არ სურს ისაუბროს ამ პრობლემებზე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ნომინირებისა და საკომიტეტო მოსმენების პროცესმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები.<sup>114</sup>

<sup>109</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტი.

<sup>110</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>111</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>112</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>113</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 204-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>114</sup> [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=234&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=234&clang=0) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 23 დეკემბერს).

## 6. უზენაესი სასამართლოს პალატები

საქართველოს უზენაესი სასამართლო 2005 წლიდან ჩამოყალიბდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოდ, გაუქმდა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, რომელიც პირველი ინსტანციის წესით განიხილავდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეებს. ამ ცვლილებებმა გამოკვეთა უზენაესი სასამართლოს, როგორც დოქტრინალური სასამართლოს როლი, რომლის ძირითადი ფუნქცია სამართლის ნორმათა განმარტება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა.<sup>115</sup>

საკასაციო სასამართლოს როლია ხელი შეუწყოს კანონის ერთგვაროვანი განმარტების დამკვიდრებასა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. უზენაესი სასამართლოს პალატები მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების საფუძველზე<sup>116</sup> განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, ასევე განსჯადობისათვის მიკუთვნებულ სხვა საქმეებს.<sup>117</sup>

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, საქმეთა განხილვის მიზნით, იქმნება სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის საქმეთა პალატები, ასევე დიდი პალატა.<sup>118</sup> უზენაეს სასამართლოში ასევე იქმნება საკვალიფიკაციო და სადისციპლინო პალატები.<sup>119</sup> პალატა (გარდა დიდი პალატისა) საქმეს განიხილავს 3 მოსამართლის შემადგენლობით.<sup>120</sup>

ამ ეტაპზე<sup>121</sup> უზენაესი სასამართლოში მოსამართლეთა ნაკლებობაა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მხოლოდ ერთი მოსამართლეა, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში – სამი.<sup>122</sup> მათგან ორ მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა საბჭოს გადაწყვეტილებით<sup>123</sup> აქვთ გაგრძელებული, თუმცა ამ მოსამართლეებზე საქმეები აღარ ნაწილდება, რაც აფერხებს მართლმსაჯულების განხორციელებას.

<sup>115</sup> ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/court-system/about-system/> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 11 ნოემბერს).

<sup>116</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 62 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>117</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>118</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>119</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>120</sup> იქვე, მე-16 მუხლი.

<sup>121</sup> 2019 წლის სექტემბრის მდგომარეობით.

<sup>122</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 ივნისის წერილი N6ს/73-19.

<sup>123</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებები N1/161 და N1/162.



დიდი პალატა საქმეს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით.<sup>124</sup> შემადგენლობაში შედიან ამ საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი იმავდროულად დიდი პალატის წევრები.<sup>125</sup> საქმე დიდ პალატას განსახილველად მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაეცემა, თუ ის წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას,<sup>126</sup> პალატა არ იზიარებს საკასაციო პალატისა<sup>127</sup> და დიდი პალატის<sup>128</sup> მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

## 6.1. დიდი პალატის გადაწყვეტილებების სავალდებულოება

ტრადიციულად, კონტინენტური სამართლის მთელ რიგ ქვეყნებში პრეცედენტული სამართალი არ არის აღიარებული კანონის სავალდებულო წყაროდ. საერთო და კონტინენტური სამართლის სისტემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მთავარი კითხვა ასეთია: შეუძლია თუ არა იმავე ინსტანციის ან უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოს პრეცედენტის დაძლევა, თუ ნებისმიერი ქვედა ინსტანციის სასამართლოს შეუძლია დადგენილი პრეცედენტიდან გადახვევა იმ პირობით, რომ გადანყვეტილება მიუკერძოებელი უნდა იყოს.<sup>129</sup> საერთო სამართლის ქვეყნებში უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების გამოტანილ გადანყვეტილებებს მბოჭავი პრეცედენტის ძალა აქვს. ამგვარად, პრეცედენტები პრინციპულად de jure სავალდებულოა.<sup>130</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ მიეკუთვნება საერთო სამართლის სისტემას, 2010 წლის ცვლილებების<sup>131</sup> მიხედვით უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის.<sup>132</sup>

<sup>124</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-17 მუხლი.

<sup>125</sup> იქვე.

<sup>126</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>127</sup> იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>128</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 391<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>129</sup> CCJE დასკვნა N20 (2017) სასამართლოების როლზე კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში, §11. ხელმისაწვდომია: [https://rm.coe.int/opinion-20-tanslated-in-georgian-on-the-role-of-courts-with-respect-to/16807ba90b?fbclid=IwAR2QJkmiSx6cNYTgrplnfnplNDLlPecpQplpf\\_yAoygElvC6PXYltBQ5Tq8](https://rm.coe.int/opinion-20-tanslated-in-georgian-on-the-role-of-courts-with-respect-to/16807ba90b?fbclid=IwAR2QJkmiSx6cNYTgrplnfnplNDLlPecpQplpf_yAoygElvC6PXYltBQ5Tq8) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 12 ივლისს).

<sup>130</sup> იქვე.

<sup>131</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ 2010 წლის 10 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონი.

<sup>132</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.

ზოგადად, იმისგან დამოუკიდებლად, მიიჩნევა თუ არა პრეცედენტული სამართალი კანონმდებლობის წყაროდ და სავალდებულოა თუ არა მისი გათვალისწინება, წინა გადანყვეტილებებზე დაყრდნობა მძლავრი ინსტრუმენტია მოსამართლეებისთვის.<sup>133</sup> ეს ხელს უწყობს სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას, მოქალაქეებისთვის განჭვრეტადს ხდის საქმის შესაძლო გადანყვეტას,<sup>134</sup> მაგრამ ამგვარი ხაზგასმა სავალდებულობაზე არ შეესაბამება საქართველოს, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ჩარჩოს და უნდა შეცვალოს: დიდი პალატის გადანყვეტილებებს სავალდებულო ძალა ქვემდგომი ინსტანციების მოსამართლეთათვის არ უნდა ჰქონდეს.

უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის შემდეგ დიდ პალატას საქმე არ გადასცემია განსახილველად.<sup>135</sup> ეს შესაძლოა მოსამართლეთა სიმცირით იყოს გამოწვეული. ბოლო საქმე, რომელზეც დიდმა პალატამ იმსჯელა, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საქმე იყო.

## 6.2. დასაშვებობის კრიტერიუმები

კანონმდებლობა საკასაციო ინსტანციაში საქმეთა დასაშვებობის სამ ძირითად კრიტერიუმს ითვალისწინებდა, საჩივარი დასაშვები იყო, თუ საქმე მნიშვნელოვანი იყო სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკისთვის, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან ან სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განიხილული იყო მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე. მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში, კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომლის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები გაფართოვდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებისთვის. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, კანონპროექტის მიზანს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიების განმტკიცება და მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდა წარმოადგენდა.

<sup>133</sup> CCJE დასკვნა N20 (2017) სასამართლოების როლზე კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში, §10.

<sup>134</sup> იქვე, § 5.

<sup>135</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 24 ივნისის N6ს/73-19 წერილი.

საპროცესო კოდექსებში დასაშვებობის საფუძვლების ცვლილებების პროექტზე გამოქვეყნებული დასკვნაში, ვენეციის კომისია და დირექტორატი მიესალმა ქართული მხარის მცდელობას გაეუმჯობესებინა საკასაციო წესით საჩივრების განხილვის სისტემა დასაშვებობის საფუძვლების გაფართოებითა და დახვეწით.<sup>136</sup> ისინი მიიჩნევენ, რომ თანასწორად გამოყენებისა და კარგი დასაბუთების პირობებში, დასაშვებობის საფუძვლები in abstracto პასუხობს პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნებს.<sup>137</sup>

დღესდღეობით საქმე დასაშვებია, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:<sup>138</sup>

- ა) მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- ბ) თუ უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;
- გ) საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;
- დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;
- ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;
- ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;
- ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე;
- თ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.<sup>139</sup>

---

<sup>136</sup> CDL-AD(2014)030, ერთობლივი დასკვნა საქართველოს ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ცვლილებათა კანონპროექტებზე, ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2014\)030-geo](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)030-geo) (ბოლოს ნანახია: 2019 წლის 12 სექტემბერს).

<sup>137</sup> იქვე.

<sup>138</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 391-ე მუხლი.

<sup>139</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

უმენაესი სასამართლოს ძირითადი ფუნქცია ერთგვაროვანი პრეცედენტული სამართლის დამკვიდრებაა. ეს მოითხოვს განსახილველი საქმეების შერჩევის ადეკვატური კრიტერიუმების შემუშავებას, ვინაიდან, უმენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა სცდება ინდივიდუალური საქმის ფარგლებს. კრიტერიუმების არსებობა კი უზრუნველყოფს პრეცედენტული ღირებულების მქონე საქმეების განხილვას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში, აღნიშნულია რომ მესამე ინსტანციის სასამართლოებში გასაჩივრების უფლება, პირველყოვლისა, ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ საქმეებზე, რომლებზეც მესამე ინსტანციის სასამართლო განხილვა მნიშვნელოვანია. მაგალითად, საქმე რომელიც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას ან კანონის განმარტების საერთო პრაქტიკის დადგენას; ასევე, იმ სამართლებრივი საკითხების გადამწყვეტისათვის, რომელსაც საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობა გააჩნია.

საქართველოს კანონმდებლობით, საკასაციო საჩივრის დასაშვებობას უმენაესი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა ამოწმებს. კოლეგია უფლებამოსილია დასაშვებობის საკითხი ზეპირი განხილვის გარეშე გადაწყვიტოს.<sup>140</sup> საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება, რომელიც კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულ უარყოფას უნდა შეიცავდეს.<sup>141</sup>

უმენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლე დასაშვებობის კრიტერიუმებზე საუბრისას ინტერვიუში ამბობს: „არსებული კრიტერიუმებით, ყველაფერი თითქმის დასაშვებია და რაც დაუშვებელია იმასაც იმდენად ვასაბუთებთ, რომ ფაქტობრივად არსებითი გადაწყვეტილება არის მიღებული, რასაც ბევრი რესურსი მიაქვს. ამას ემატება ისიც, რომ მოსამართლეთა რაოდენობა მცირდება და საკასაციო სასამართლო გადაიქცა ერთ-ერთ რიგით სასამართლოდ და უნდა ვთქვა, რომ ჭირს უკვე ისეთი გადაწყვეტილებების წერა, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისთვის.“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ სამართლის საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოში წარდგენილ საჩივრებთან მიმართებით დასაშვებობის კრიტერიუმების დანერგვა და გამოყენება ემსახურება მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ლეგიტიმურ მიზანს.<sup>142</sup> მან შენიშნა, რომ საქართველოს უმენაესი სასამართლო, განსხვავებით ქვედა ინსტანციის სასამართლოებისგან, საქმეს სრულად არ იხილავს, არ აფასებს ფაქტებსა და მტკიცებულებებს; უმენაესი სასამართლოში საქმის განხილვა შემლუდულია გარკვეული სამართლებრივი საკითხებით. ასეთ ვითარებაში საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება - უარი თქვას აპლიკანტის საჩივრის განხილვაზე არ არღვევს კონვენციის მოთხოვნებს. რაც შეეხება უმენაესი სასამართლოს

<sup>140</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 401-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>141</sup> იქვე, მე-2 პუნქტი.

<sup>142</sup> Egic v. Croatia, Appl. no. 32806/09; Guérin v. France, Appl. no. 25201/94; Dobric v. Serbia, Appl. nos. 2611/07, 15276/07.

გადაწყვეტილების დასაბუთებას, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, როდესაც საკასაციო სასამართლო უარს აცხადებს საქმის განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ არ არსებობს საქმის განხილვის სამართლებრივი საფუძვლები, კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს მცირე დასაბუთებით.<sup>143</sup> საქართველომ შეიძლება დაანესოს უფრო მაღალი სტანდარტები, ვიდრე ევროპულმა კონვენციამ და ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა, თუმცა ამას შედეგად არ უნდა მოჰყვეს მოსამართლეთა სამუშაოს მოცულობის გადამეტებული ზრდა და დასაშვებობის ეტაპზე სამართალწარმოების გახანგრძლივება.<sup>144</sup> დასაშვებობის საფეხური ისე უნდა იყოს დარეგულირებული, რომ საქმეთა დაყოფებით გავლენას არ ახდენდეს სამართლიანი პროცედურის უფლებაზე და დავას არაგონივრულად არ უნდა ახანგრძლივებდეს.<sup>145</sup>

### 6.3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სხვა კალაქის საქმეთა განხილვაში მონაწილეობა

უზენაეს სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, მოსამართლეს დროებით ეკისრება სხვა პალატის შემადგენლობაში უფლებამოსილების განხორციელება.<sup>146</sup> მაგალითად, უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებული დადგენილებით, კონკრეტული მოსამართლეები არჩეულ იქნენ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის პალატის წევრებად. ამავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იმავე მოსამართლეს „საჭიროების შემთხვევაში, დროებით დაეკისროს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, ასევე სისხლის სამართლის საქმეთა პალატის წევრის მოვალეობა ამ პალატების ქვემდებარე საქმეთა განხილვაში მონაწილეობის მისაღებად“.<sup>147</sup> შედეგად, ეს მოსამართლეები უფლებამოსილნი არიან განიხილონ სამივე პალატის ქვემდებარე საქმეები. უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებული დადგენილებები შაბლონურია. მათში არ არის მითითებული და დასაბუთებული რა აუცილებლობით არის განპირობებული მოსამართლეთა გადაყვანა, ასევე, არ არის განსაზღვრული მოსამართლის მიერ სხვა პალატაში საქმეთა განხილვის კონკრეტული ვადა.

<sup>143</sup> ყუფარაძე საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი N30743/09), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/yu-paradze-saqartvelos-winaagmddeg.pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 3 სექტემბერს).

<sup>144</sup> CDL-AD(2014)030, ერთობლივი დასკვნა საქართველოს ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ცვლილებათა კანონპროექტებზე, § 51.

<sup>145</sup> Kudła v. Poland judgment of 26 October 2000. Frydlander v. France [GC], 27 June 2000; Zimmermann and Steiner v. Switzerland, 13 July 1983; Baraona v. Portugal, 8 July 1987.

<sup>146</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 აპრილის №-447-19 წერილი.

<sup>147</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 29 ოქტომბრის N6/პლ დადგენილება.

აუცილებელია, უზენაესი სასამართლოს პლენუმმა მოსამართლის იმავე სასამართლოს სხვა პალატაში გადაყვანისას დადგენილებაში მიუთითოს კონკრეტული საქმე და დაასაბუთოს მოსამართლის მიერ სხვა პალატაში უფლებამოსილების განხორციელების აუცილებლობა. ასევე, მნიშვნელოვანია ეს მექანიზმი გამოყენებულ იქნას მოსამართლის თანხმობით.

ამ საკითხთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს მსგავსი პოზიციები აქვთ:



**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „არ ვემხრობი არანაირად. თუ მოსამართლეების სიმცირეა, უზენაეს სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს მოსამართლის დამატება. დროებით დაკისრება არ უზრუნველყოფს ხარისხიან მართლმსაჯულებას“.

**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „თუ იმ კონკრეტულ პალატაში ხელმისაწვდომია მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა, ამ ინსტიტუტის გამოყენება როგორც მინდა ისე არ უნდა ხდებოდეს. ეს არის მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევა.“



## 6.4. სადისციპლინო პალატა

უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას 3 წლის ვადით, 3 წევრის შემადგენლობით, ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.<sup>148</sup> მათ კანდიდატურებს, მათ შორის, თავმჯდომარის კანდიდატურას, უზენაესი სასამართლოს წევრთაგან პლენუმს წარუდგენს პლენუმის წევრი.<sup>149</sup> თუ პლენუმმა კანდიდატი გედიმედ ორჯერ ვერ აირჩია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, მის არჩევამდე, არაუმეტეს 6 თვის ვადით, დანიშნოს მოვალეობის შემსრულებელი.<sup>150</sup>

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საქმის განხილვას სადისციპლინო პალატაში კონკრეტული საჩივრის განხილვის დროით ჩამოაშოროს პალატის ის წევრი, რომელსაც აქვს აცილების საფუძველი.<sup>151</sup> ასეთ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უზენაესი სასამართლოს წევრთაგან ნიშნავს სადისციპლინო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებელს.<sup>152</sup>

<sup>148</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი.

<sup>149</sup> იქვე, მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>150</sup> იქვე, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>151</sup> იქვე, მე-4 პუნქტი.

<sup>152</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 24 ივნისის N6ს/73-19 წერილი. 2017 წელს სადისციპლინო პალატის წევრმა ნუგზარ სხირტლადემ სამჯერ გამოიყენა თვითაცილება (აცილება არ გამოყენებულა). 2018 წელს აცილებისა და თვითაცილების ფაქტები არ ფიქსირდება, ხოლო 2019 წელს გიორგი შავლიაშვილმა თვითაცილებას ერთხელ მიმართა, წევრებმა ზურაბ ძლიერიშვილმა და ნუგზარ სხირტლადემ - ორ-ორჯერ (აცილება არ გამოყენებულა).

სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილების თავიდან ასაცილებლად, უპრიანია, ორივე გემოაღნიშნულ შემთხვევაში, მოვალეობის შემსრულებლის შერჩევა წილისყრის მეშვეობით.

სადისციპლინო პალატის წევრი სრულყოფილად ასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის წევრი არ შეიძლება აირჩეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.<sup>153</sup> ამგვარი შეზღუდვა დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან საბჭოს წევრები იღებენ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების შეწყვეტისა და დაწყების თაობაზე, ხოლო სადისციპლინო პალატა მოსამართლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას ბოლო ინსტანციაა.

სადისციპლინო პალატა დადგენილი წესით განიხილავს საჩივარს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე,<sup>154</sup> ასევე, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე.<sup>155</sup> სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.<sup>156</sup>

2014-2019 წლებში სადისციპლინო პალატამ 27 საჩივარი განიხილა. აქედან 2014 წელს 3, 2015 წელს - 4, 2016 წელს - 5, 2017 წელს - 6, 2018 წელს - 2 და 2019 წელს - 7.<sup>157</sup>

სადისციპლინო პალატამ 2014 წელს შესული სამივე საჩივარი განუხილველი დატოვა, 2015 წელს 2 არ დააკმაყოფილა, 1 დაკმაყოფილდა და 1 განუხილველად დატოვა, 2016 წელს 3 საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2 არ დაკმაყოფილდა, 2017 წელს 1 არ დაკმაყოფილდა, 3 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და 2 დაკმაყოფილდა, 2018 წელს 1 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 1 არ დაკმაყოფილდა, 2019 წელს 4 საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2 არ დაკმაყოფილდა და 1 განუხილველი დარჩა.

---

<sup>153</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>154</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>155</sup> იქვე.

<sup>156</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 7562 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>157</sup> <http://www.supremecourt.ge/court-decisions/disciplinary-cases/> (ბოლოს ნანახია: 2019 წლის 20 სექტემბერს).

## 6.5. საკვალიფიკაციო პალატა

2014 წლის ცვლილებებით უზენაეს სასამართლოს სტრუქტურას დაემატა საკვალიფიკაციო პალატა.<sup>158</sup> საკვალიფიკაციო პალატა განიხილავს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით ან უვადოდ გამწვანებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე საჩივრებს.<sup>159</sup>

საკვალიფიკაციო პალატას 3 წევრის შემადგენლობით, 3 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.<sup>160</sup> საკვალიფიკაციო პალატის წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს ის მოსამართლე, რომელიც იმავდროულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია.<sup>161</sup> ეს აკრძალვაც დადებით შეფასებას იმსახურებს, ვინაიდან საბჭო ნიშნავს მოსამართლეებს თანამდებობაზე, ხოლო საკვალიფიკაციო პალატა ამ პროცესში საბჭოს გადაწყვეტილებებზე საჩივრებს განიხილავს, რის გამოც, საბჭოს წევრის ყოფნა საკვალიფიკაციო პალატაში გაუმართლებელი იქნებოდა.

საკვალიფიკაციო პალატის წევრთა კანდიდატურებს (მათ შორის, საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარის კანდიდატურას) უზენაესი სასამართლოს წევრთაგან პლენუმს ასარჩევად წარუდგენს პლენუმის ნებისმიერი წევრი.<sup>162</sup> თუ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა ორჯერ ვერ აირჩია წარდგენილი კანდიდატურა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, საკვალიფიკაციო პალატის წევრის არჩევამდე, არაუმეტეს 6 თვის ვადით, უზენაესი სასამართლოს წევრთაგან დანიშნოს საკვალიფიკაციო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებელი.<sup>163</sup> თუმცა, გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამ უფლებამოსილებით არ უსარგებლია და საკვალიფიკაციო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.<sup>164</sup>

საკვალიფიკაციო პალატის წევრი ვალდებულია კონკრეტული საჩივრის განხილვის დროით ჩამოშორდეს საქმის განხილვას, თუ არსებობს აცილების საფუძველი.<sup>165</sup> ამ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ამ საჩივრის განხილვის ვადით, ნიშნავს საკვალიფიკაციო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებელს.<sup>166</sup>

ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ერთპიროვნული გადაწყვეტილების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, საკვალიფიკაციო პალატის წევრი შეირჩეს წილისყრის მეშვეობით.

<sup>158</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში 2014 წლის 01 აგვისტოს განხორციელებული N2645 ცვლილებები.

<sup>159</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35<sup>4</sup>, 36<sup>5</sup> და 36<sup>6</sup> მუხლები.

<sup>160</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>161</sup> იქვე.

<sup>162</sup> იქვე, მე-3 პუნქტი.

<sup>163</sup> იქვე.

<sup>164</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის Nპ-447-19 წერილი.

<sup>165</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>166</sup> იქვე.



ორგანული კანონის თანახმად, საკვალიფიკაციო პალატის წევრს ათავისუფლებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პლენუმის თანხმობით.<sup>167</sup> მოსამართლის, როგორც საკვალიფიკაციო პალატის წევრის გათავისუფლების პროცედურა კანონით არ არის მოწესრიგებული. შესაბამისად, გაურკვეველია, რატომ უნდა არსებობდეს სპეციალური დებულება საკვალიფიკაციო საბჭოს წევრის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის გათვალისწინებით,<sup>168</sup> მისი გათავისუფლება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მოსამართლის გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

უზენაესი სასამართლოს მოქმედება და ყოფილმა მოსამართლეებმა კითხვაზე, რამდენად სწორად მიიჩნევდნენ ჩანაწერს, რომლის მიხედვით პალატის წევრებს პლენუმი ნიშნავს, ხოლო მათი მოვალეობის შემსრულებლებს - თავმჯდომარე, უპასუხეს, რომ ამაში საგანგაშო არაფერია.



**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „ვადებია მცირე, მაგალითად, მოხდეს აცილება - ჩანაცვლების კონტექსტი. ეს ფორსმაჟორული ვითარებით არის გამოწვეული“;

**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა არ არის მუდმივმოქმედი წევრი, მაგალითად, მივლინებაში ყოფნისას. დალოდება ვადის დარღვევას ნიშნავს, ანუ მოუწიათ, რომ სხვა მოსამართლე დაენიშნათ მის მაგივრად, ისიც კონკრეტულ საქმეზე და არა ვადით“.



2014 -2016 წლებში საკვალიფიკაციო პალატას საქმე არ განუხილავს. 2017-2018 წლებში განიხილა 2-2 საქმე.<sup>169</sup> 2019 წლის 15 მარტის მდგომარეობით საკვალიფიკაციო პალატას არცერთი საქმე არ განუხილავს.<sup>170</sup> 2017 წელს განხილული საქმეებიდან ერთი განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს, ხოლო მეორე შემთხვევაში საჩივრის ავტორს უარი ეთქვა საქმის წარმოებაში მიღებაზე. 2018 წელს, ერთ შემთხვევაში საკვალიფიკაციო პალატამ წარმოებაში არ მიიღო საქმე და მეორე შემთხვევაში არ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის მოთხოვნა. 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საკვალიფიკაციო პალატამ განიხილა 5 საჩივარი, საიდანაც 3 არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2 შემთხვევაში საჩივრის ავტორს უარი ეთქვა წარმოებაში მიღებაზე.<sup>171</sup>

<sup>167</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-191 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>168</sup> CCJE დასკვნა N1(2001) სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა შეუცვლელი სტანდარტების შესახებ. ხელმისაწვდომია: [http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/aqtebi/CCJE%282001%29OPINION%201\\_GEO-revised.pdf](http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/aqtebi/CCJE%282001%29OPINION%201_GEO-revised.pdf) (ბოლოს ნანახია: 2019 წლის 4 ოქტომბერს).

<sup>169</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის Nპ -447-19 წერილი.

<sup>170</sup> იქვე.

<sup>171</sup> საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებანი, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/board-of-experts/>. (ბოლოს ნანახია: 2019 წლის 25 ნოემბერს.)

# 7. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და კალაქაის თავმჯდომარეები

## 7.1. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის წესი

საერთაშორისო სტანდარტები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა/შერჩევის პროცესის მიმდინარეობისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის გარანტიები, ასევე სრულიად უნდა გამოირიცხოს პოლიტიკური გავლენის ნებისმიერი შესაძლებლობა.<sup>172</sup>

2018 წელს, საკონსტიტუციო ცვლილების<sup>173</sup> ამოქმედების შემდეგ შეიცვალა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის წესი. საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან, იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარუდგენს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.<sup>174</sup>

საკონსტიტუციო ცვლილების ამოქმედებიდან რამდენიმე თვის შემდეგ,<sup>175</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და თავმჯდომარის თანამდებობაზე შერჩევა/არჩევის წესი და პროცედურა მოწესრიგდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე არჩევამდე უნდა ეკავოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა,<sup>176</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ მას გავლილი უნდა ჰქონდეს ყველა ის პროცედურა, რაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევის ახალ წესს უკავშირდება ან საკონსტიტუციო ცვლილების ძალაში შესვლამდე უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლის თანამდებობა უნდა ეკავოს. თავმჯდომარე თანამდებობაზე აირჩევა 10 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, უფლებამოსილების ვადისა.<sup>177</sup>

<sup>172</sup> CCJE დასკვნა N19 (2016) § 53.

<sup>173</sup> „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, 13.10.2017. ამოქმედდა 2018 წლის 16 დეკემბერს.

<sup>174</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 61, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>175</sup> 2019 წლის 1-ლ მაისს.

<sup>176</sup> თავმჯდომარე აირჩევა არსებულ მოსამართლეთაგან.

<sup>177</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის დასახელების უფლება საბჭოს სრული შემადგენლობის 1/5-ს, ანუ საბჭოს არანაკლებ 3 წევრს აქვს.<sup>178</sup> თავმჯდომარეობის კანდიდატებს კენჭი ერთიანად ეყრებათ. კანდიდატურის შერჩევითვის საჭიროა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის, ანუ არანაკლებ 10 წევრის ხმა.<sup>179</sup> აღნიშნული ხმათა რაოდენობის მიუღწევლობის შემთხვევაში, კენჭი ეყრება იმ კანდიდატს, ვინც კენჭისყრისას ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. მეორე კენჭისყრისას პარლამენტისთვის წარსადგენად შერჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, ვინც საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის ხმებს, ანუ საბჭოს 8 წევრის ხმას მიიღებს.<sup>180</sup> უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საბჭოს წევრთა უმრავლესობის მიერ შერჩევა კრიტიკას იმსახურებს, ვინაიდან მეორე კენჭისყრისას არამოსამართლე წევრებს არ აქვთ არავითარი გავლენა შერჩევის პროცესზე და ფაქტობრივად გამოირიცხება გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსის საფუძველზე.

ორგანული კანონის თანახმად, თუ ზემოაღნიშნული პროცედურების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატს ვერ წარადგენს, ბოლო კენჭისყრიდან არაუადრეს 2 კვირისა კანდიდატის დასახელების პროცედურა ხელახლა იწყება.<sup>181</sup>

პარლამენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ კენჭისყრის შედეგად საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატი საჭირო რაოდენობის ხმებს ვერ მიიღებს, იმავე კანდიდატის წარდგენა ერთი და იმავე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში შეიძლება მხოლოდ ორჯერ.<sup>182</sup>

## 7.2. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

მოქმედი კანონმდებლობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მრავალ უფლებამოსილებას ანიჭებს. ბოლო წლებში, თავმჯდომარის ფუნქცია-მოვალეობებმა ცვლილებები განიცადა და მის ხელში თავმოყრილი ჭარბი უფლებამოსილება გარკვეულწილად შეიზღუდა, რაც მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

<sup>178</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისგან. საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>179</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>180</sup> იქვე.

<sup>181</sup> იქვე.

<sup>182</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჩამოერთვა უზენაესი სასამართლოს პალატების<sup>183</sup> შემადგენლობების და მათი თავმჯდომარეების პლენუმისთვის ასარჩევად წარდგენის უფლება. ასევე შეიზღუდა თავმჯდომარის ფართო უფლებამოსილებები დისციპლინური სამართალ-წარმოების პროცესში, რაც ასევე დადებითად უნდა შეფასდეს. საკანონმდებლო ცვლილებამდე მას ან მისი მოვალეობის შემსრულებელს შეეძლო უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება.<sup>184</sup>

საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, თავმჯდომარეს ჩამოერთვა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე იმუნიტეტის მოხსნის უფლება.<sup>185</sup> გარდა ამისა, კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ავტომატურად აღარ არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, თუმცა რჩება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ex officio წევრად.<sup>186</sup>

სასამართლოს თავმჯდომარის უმთავრეს როლს სასამართლოს წარმომადგენლის ფუნქციის შესრულება წარმოადგენს. სასამართლოს თავმჯდომარეები ხელს უწყობენ მთლიანი სასამართლო სისტემის განვითარებას, აგრეთვე თავიანთ ინდივიდუალურ სასამართლოში უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობას და ხელს უწყობენ მის შენარჩუნებას.<sup>187</sup> თავმჯდომარის მაღალი სტატუსი მას სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელოვან წარმომადგენლად აქცევს, თუმცა მის ხელში გედმეტად ფართო ძალაუფლების თავმოყრამ შესაძლოა ზიანიც კი მოუტანოს სასამართლოს დამოუკიდებლობას.<sup>188</sup>

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) ერთმანეთისგან განასხვავებს სასამართლოს თავმჯდომარის ა) წარმომადგენლობით (სასამართლოს და კოლეგა მოსამართლეების წარმომადგენლობა), ბ) მენეჯერულ (სასამართლოს ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა) და გ) სამოსამართლო როლს.<sup>189</sup> უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები გარკვეულწილად სამივე მიმართულებას მოიცავს.

<sup>183</sup> „მესამე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებულ ცვლილებამდე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პლენუმს ასარჩევად წარუდგენდა პალატების (გარდა საკვალიფიკაციო პალატისა) წევრებისა და თავმჯდომარის კანდიდატურებს.

<sup>184</sup> სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ცვლილებები თარიღდება 2017 წლის 8 თებერვლით, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე N 255-III.

<sup>185</sup> 2018 წლის 21 ივლისის კანონი N3262-რს.

<sup>186</sup> 2018 წლის 21 ივლისის კანონი N3262.

<sup>187</sup> CCJE დასკვნა N19 (2016) § 7.

<sup>188</sup> უზენაესი სასამართლოს ადგილი სასამართლო სისტემაში, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2017. გვ 117. ხელმისაწვდომია: <http://www.coalition.ge/files/...pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>189</sup> CCJE დასკვნა N19 (2016) § 6.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით რესპონდენტთა შეფასებები მცირედ განსხვავდება, თუმცა უმრავლესობა თანხმდება, რომ სამოსამართლო საქმიანობის მიღმა თავმჯდომარე ფუნქციურად ნაკლებად უნდა იყოს დატვირთული.



**ასოცირებული პროფესორი:** „თავმჯდომარეს დარჩა ის ფუნქციები, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ უზენაესი სასამართლოს მუშაობა წარმართოს. ამ ნაწილში მგონი საკმარისია.“

**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „კარგია, რომ ავტომატურად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აღარ იქნება საბჭოს თავმჯდომარე. ეს კარგია და დემოკრატიულია. რაც შეეხება თავმჯდომარის არსებულ უფლებამოსილებებს, არ მგონია, რომ რამე არის დასამატებელი.“

**ადვოკატი:** „რაც უფრო ნაკლები უფლებამოსილება ექნება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და კოლეგიური იქნება მართვა, უფრო კარგი იქნება მოსამართლეების ინდივიდუალური დამოუკიდებლობისთვის.“

**სახალხო დამცველის წარმომადგენელი:** „დღეს საბჭოა ისეთი ორგანო, რომელსაც სასამართლო კორპუსის სახელით შეუძლია ილაპარაკოს... უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს პირველი პირი, პირველი თანახმობითაა შორის, მაგრამ ეს არ უნდა იყოს დამატებითი საკითხებით განპირობებული, მას უნდა ჰქონდეს წმინდა სამოსამართლო საკითხები და არა მის იქით. მაგისტრის გვერდს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, თავმჯდომარეც ეყოლება, რომელიც ცალკე ასარჩევი იქნება.“



### თავმჯდომარის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები

როგორც უკვე აღინიშნა, საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აღარ არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, თუმცა ის დარჩა საბჭოს ex officio წევრად.<sup>190</sup> თეორიულად კვლავ შესაძლებელია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ვინაიდან საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს წევრები ირჩევენ.<sup>191</sup>

სასამართლოსა და მოსამართლეების წარმომადგენლობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. მოქმედი კანონმდებლობით, თავმჯდომარე მართლმსაჯულების მდგომარეობის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლო ხელისუფლების სახელით წარმართავს ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებთან,

<sup>190</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლი.

<sup>191</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და მოსახლეობასთან.<sup>192</sup> უზენაესი სასამართლო საერთო სასამართლოების სისტემაში ბოლო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მხოლოდ საკასაციო ინსტანციას ხელმძღვანელობს და ბუნდოვანია კანონმდებლის ნება, როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სასამართლო ხელისუფლების სახელით სხვადასხვა პირებთან ურთიერთობების წარმართვას აკისრებს. სასამართლო სისტემაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლიდან გამომდინარე, ეს კომპეტენცია საბჭოს თავმჯდომარემ უნდა განახორციელოს, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ საბოლოო ინსტანციის სასამართლოს.



## საერთო ხელმძღვანელობა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე საერთო ხელმძღვანელობას უწევს უზენაესი სასამართლოს საქმიანობას.<sup>193</sup> მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რა იგულისხმება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ხელმძღვანელობაში. მართალია, უზენაესი სასამართლოს ფუნქცია საკასაციო საჩივრების განხილვაა, მაგრამ ხელმძღვანელობაში არ იგულისხმება მოსამართლეთა სამოსამართლო საქმიანობის კონტროლი. თავმჯდომარემ არ უნდა შეუქმნას საფრთხე ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობას და არ უნდა განახორციელოს ზედამხედველობა მათ საქმიანობაზე. საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლეები თავისუფალი უნდა იყვნენ თავმჯდომარის ზეგავლენისა და მითითებებისგან.<sup>194</sup> ამდენად, სასამართლოს თავმჯდომარეთა როლი შეზღუდული უნდა იყოს იმგვარად, რომ ისინი არ ჩაერიონ სხვა მოსამართლეების საქმიანობაში.<sup>195</sup>

საერთო ხელმძღვანელობა უმეტესწილად თავმჯდომარის ადმინისტრაციული ფუნქციებიდან გამომდინარე საქმიანობას უნდა გულისხმობდეს. უზენაეს სასამართლოში ადმინისტრაციული ფუნქციები თავმჯდომარესა და სასამართლოს მენეჯერს შორის გამიჯნულია, თუმცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს უმაღლეს თანამდებობის პირს. ყველა ადმინისტრაციული გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში მიიღება ან თავმჯდომარის ან მის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული პირის მიერ. შესაბამისად, საერთო ხელმძღვანელობა იმ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღება ან იმ გადაწყვეტილებებზე ზედამხედველობაა, რომელიც სასამართლოში მიიღება.

<sup>192</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>193</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>194</sup> CCJE დასკვნა N19 (2016) § 13.

<sup>195</sup> კიევის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, 2010, პარაგრაფი 11.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ახორციელებს სასამართლოების მანდატურის სამსახურების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს.<sup>196</sup> მანდატურის სამსახურის უფროსებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისად სასამართლოს თავმჯდომარე ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.<sup>197</sup> შესაბამისად, გაურკვეველია, რა იგულისხმება და როგორ ახორციელებს სხვა სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დანიშნულ მანდატურის სამსახურის უფროსზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობას. აღნიშნულ ხარვეზზე გამოკითხვის პროცესში ასევე ყურადღება გაამახვილა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა.

## **3 თავმჯდომარის სამოსამართლო როლი**

სასამართლოს თავმჯდომარეები ამავდროულად მოსამართლეები არიან და შესაბამისად სასამართლო სისტემის ნაწილს წარმოადგენენ.<sup>198</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს თანახმად, მნიშვნელოვანია, რომ თავმჯდომარეებმა თანამდებობაზე არჩევის შემდეგ განაგრძონ მოსამართლედ მუშაობა, ვინაიდან მოსამართლის ფუნქციების შესრულებით თავმჯდომარე ერთი მხრივ, განაგრძობს საკუთარ პროფესიულ სრულყოფას, მეორე მხრივ, კი აღნიშნული მას ეხმარება თავისი როლი საუკეთესოდ შეასრულოს ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილი საკითხების უშუალო ცოდნის მეშვეობით. სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ განსახილველი საქმეების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს მათი მენეჯერული ფუნქციების გათვალისწინებით.<sup>199</sup>

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შეიძლება იყოს ერთ-ერთი პალატის (სამოქალაქო საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა ან ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა) თავმჯდომარე. ის აგრეთვე უძღვება დიდი პალატისა და პლენუმის სხდომებს, საჭიროების შემთხვევაში კი თავმჯდომარეობს პალატების სხდომებს.<sup>200</sup>

<sup>196</sup> საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>197</sup> იქვე, მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>198</sup> CCJE დასკვნა N19 (2016) § 8.

<sup>199</sup> CCJE დასკვნა N19 (2016) § 15.

<sup>200</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.



## დიდი პალატის შემადგენლობაში კანდიდატების დასახელების უფლება

სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში ამოქმედებული ცვლილებების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჩამოერთვა პალატების (გარდა საკვალიფიკაციო პალატისა) შემადგენლობებისა და თავმჯდომარეების პლენუმისთვის ასარჩევად წარდგენის უფლება, მაგრამ მას შეუნარჩუნდა უფლება განსაზღვროს და პლენუმს ასარჩევად წარუდგინოს დიდი პალატის შემადგენლობა.<sup>201</sup> უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის დაკომპლექტების ორგანული კანონით დადგენილი წესი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შორის ზედმეტ იერარქიას წარმოშობს და გარკვეულწილად რისკს უქმნის მათ დამოუკიდებლობას. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია დიდი პალატის კანდიდატების დასახელების უფლება პლენუმის ყველა წევრს თანაბრად მიენიჭოს.<sup>202</sup>



## საკონსტიტუციო სასამართლოში დასანიშნ კანდიდატის დასახელების უფლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა, რომელიც შედგება 10 წლის ვადით გამწესებული 9 მოსამართლისგან: 3 მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 მოსამართლეს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი, ხოლო 3 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.<sup>203</sup>

უზენაესი სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში დასანიშნ მოსამართლეებს უზენაესი სასამართლოს პლენუმი ირჩევს, თუმცა კანდიდატებს პლენუმზე ექსკლუზიურად თავმჯდომარე ასახელებს.<sup>204</sup> კენჭისყრის შედეგად დანიშნულად ჩაითვლება ის სამი კანდიდატი, რომელიც პლენუმის დამსწრე წევრთა ხმათა ორ მესამედს მიიღებს.<sup>205</sup> იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას პლენუმი იღებს, თავმჯდომარისთვის აღნიშნული უფლებამოსილების ექსკლუზიურად მინიჭება გაუგებარია. პროცესის გაჭანსალებისა და თავმჯდომარის გაუმართლებლად ფართო უფლებამოსილების დაბალანსების მიზნით, მნიშვნელოვანია პლენუმის ყველა წევრს ჰქონდეს კანდიდატის დასახელების უფლება. მსგავს მიდგომას იზიარებს გამოკითხული ერთ-ერთი ყოფილი მოსამართლეც.

<sup>201</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>202</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>203</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>204</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, მე-73 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>205</sup> იქვე.



### 3

## უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე გადანაცვლებების მიღების უფლება

საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულია მოსამართლის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები. სახელმწიფო ვალდებულია მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შეუქმნას მას ცხოვრებისა და საქმიანობის ღირსეული პირობები.<sup>206</sup> მოსამართლის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ორგანული კანონით და ის მოსამართლის სოციალური დაცვის გარანტიას წარმოადგენს.<sup>207</sup>

მოსამართლეთათვის ისეთი არაფინანსური პრივილეგიის მინიჭება, როგორც საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა და რომელიც ძირითადად პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებს ახასიათებთ, კრიტიკულად შეფასდა ვენეციის კომისიის ანგარიშში და აღინიშნა, რომ ფართო დისკრეციის თავიდან ასაცილებლად, რომელმაც შესაძლოა მოსამართლეთა დამოუკიდებლობასაც კი შეუქმნას საფრთხე, უმჯობესია მსგავსი სარგებელი მოსამართლეთათვის ადეკვატური ანაზღაურების განსაზღვრამ ჩაანაცვლოს.<sup>208</sup>

საქართველოს კანონმდებლობით განსხვავებულია უზენაესი სასამართლოსა და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის წესი. კერძოდ, თუ საქალაქო (რაიონული) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთათვის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის საკითხს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წყვეტს, იგივე საკითხი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ერთპიროვნულად წყდება. მსგავსი უფლებამოსილების უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისთვის მინიჭება მოსამართლეთა დამოუკიდებლობისთვის საფრთხის შექმნის რისკებს შეიცავს და მის სრულ გაუქმებამდე, კოლეგიური ორგანოს (მაგალითად პლენუმის) მიერ აღნიშნული საკითხის გადანაცვება უფრო მეტად ჯანსაღს გახდის პროცესს.<sup>209</sup>

კვლევის ფარგლებში, პროექტის გუნდმა საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაცია 2014 წლიდან დღემდე მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის შემთხვევების რაოდენობაზე. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ხსენებულ საკითხზე არცერთი გადანაცვლება არ მიუღია.<sup>210</sup>

<sup>206</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 64-ე მუხლი.

<sup>207</sup> იქვე.

<sup>208</sup> Venice Commission CDL-AD(2010)004, 16/03/2010, § 50-51, ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/web-forms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)004-e](https://www.venice.coe.int/web-forms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)004-e) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს).

<sup>209</sup> კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა, რეფორმები და პერსპექტივები, 2017. უზენაესი სასამართლოს ადგილი სასამართლო სისტემაში, გვ. 117.

<sup>210</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის წერილი №447-19.

## 8

### უმენაესი სასამართლოს აპარატის მუშაობის წარმართვა და საკადრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება

თავმჯდომარეს უმენაესი სასამართლოს საერთო ხელმძღვანელობის ჭრილში გააჩნია კანონით მინიჭებული ზედამხედველობის ბერკეტები არასამოსამართლო პერსონალზე. ის წარმართავს უმენაესი სასამართლოს აპარატის მუშაობას<sup>211</sup> და იღებს გადაწყვეტილებებს უმენაესი სასამართლოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის (სამსახურში მიღების) და თანამდებობიდან გათავისუფლების (სამსახურიდან დათხოვნის) შესახებ.<sup>212</sup>

სასამართლოს აპარატი მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად განხორციელების, სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების, სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, აგრეთვე სასამართლოს სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება.<sup>213</sup>

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში მენეჯერები ნიშნავენ და ათავისუფლებენ<sup>214</sup> (სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსის, სასამართლოს მანდატურის, მოსამართლის თანამშემისა და სასამართლო სხდომის მდივნის გარდა<sup>215</sup>). ბუნდოვანია კანონმდებლის მიზანი, განსხვავებულად დაარეგულიროს უმენაეს სასამართლოში აღნიშნული საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ უმენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სხვა ინსტანციის სასამართლოების თავმჯდომარეებთან შედარებით მეტად დატვირთულია დამატებითი ფუნქციებით.<sup>216</sup> საკადრო საკითხებში, უმენაესი სასამართლოს მენეჯერზე თავმჯდომარის მიერ დელეგირებულია მხოლოდ უმენაეს სასამართლოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერებისა და განახლების და მივლინების შესახებ ბრძანებებზე ხელმოწერის უფლება.<sup>217</sup>

<sup>211</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>212</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>213</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>214</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>215</sup> ხსენებულ პირებს რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში სასამართლოს თავმჯდომარეები ნიშნავენ და ათავისუფლებენ.

<sup>216</sup> მაგალითისთვის, უმენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ახორციელებს სასამართლოების მანდატურის სამსახურების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>217</sup> საქართველოს უმენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 23 იანვრის ბრძანება N1-ს.

უმენაესი სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლეს, რომელიც გასცემს ბრძანებას „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარების თაობაზე.<sup>218</sup> ზედამხედველი მოსამართლე გასცემს ბრძანებას აგრეთვე ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელებისა<sup>219</sup> და ინდივიდუალური და სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიებების ჩატარების შესახებ.<sup>220</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, ზედამხედველ მოსამართლეს ევალება აგრეთვე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ფარული საგამოძიებო მოქმედების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარების კონტროლი ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით.<sup>221</sup>

### **7.3. უმენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მენეჯერის უფლებამოსილებაების გაიჯანა**

უმენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უმენაესი სასამართლოს ხელმძღვანელია და სასამართლოს აპარატის მუშაობას წარმართავს, თუმცა აპარატის ორგანიზაციული ხელმძღვანელობას სასამართლოს მენეჯერი ახორციელებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა დადგენილი უფლებამოსილებისა, სასამართლოს მენეჯერმა შესაძლოა აგრეთვე თავმჯდომარისგან დელეგირებული უფლებამოსილებები შეასრულოს.<sup>222</sup> უმენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, სასამართლოს მენეჯერს (აპარატის უფროსს) თავმჯდომარისგან დელეგირებული აქვს უმენაესი სასამართლოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერებისა და განახლების (შვებულების, დროებითი შრომისუუნარობის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების დროს) და მივლინების შესახებ ბრძანებებზე ხელმოწერის უფლება.<sup>223</sup>

<sup>218</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>219</sup> „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი.

<sup>220</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი.

<sup>221</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>4</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>222</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>223</sup> საქართველოს უმენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2017 წლის 13 ივლისის ბრძანება N20-ს, 2017 წლის 2 ოქტომბრის ბრძანება N40-ს და 2018 წლის 23 იანვრის ბრძანება N1-ს.

სასამართლოს მენეჯერის პოზიცია ორგანულ კანონში 2010 წლის ივლისში განჩნდა. კანონპროექტის განმარტებით ბარათის მიხედვით, სასამართლო სისტემაში ეფექტიანი და დროული ადმინისტრირების შემოღება განპირობებული იყო სასამართლოში საქმეთა ნაკადის მომრავლებითა და საქმეთა დროული განხილვის შეფერხებით; სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების უკმაყოფილებით; სასამართლოების ტრანსფორმაციით პატარა მოცულობის უწყებიდან უფრო დიდ და ძლიერ ორგანიზაციებად, რომლებსაც მართლმსაჯულების განხორციელებასთან ერთად დაეკისრათ საზოგადოების მაღალი ხარისხით მომსახურება; საჯარო ფინანსების, სასამართლო დოკუმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვით, მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობითა და სხვა.<sup>224</sup> ამგვარ ტვირთთან გამკლავება მხოლოდ მოსამართლეებსა და სასამართლოების „ტრადიციულ“ თანამშრომლებს აღარ შეეძლოთ და საჭირო გახდნენ მენეჯერები, რომლებიც მოსამართლეთა ზედამხედველობის ქვეშ არასამართლებრივი საქმეების ორგანიზებითა და მოგვარებით დაკავდებოდნენ.<sup>225</sup> სასამართლოს მენეჯერის საქმიანობის წესი და უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტით. რეგლამენტს ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.<sup>226</sup>

უზენაესი სასამართლოს მენეჯერს თანამდებობაზე ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.<sup>227</sup> მენეჯერი შედის უზენაესი სასამართლოს მმართველ საბჭოში. მისი ფუნქცია-მოვალეობები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მენეჯერის საქმიანობა ძირითადად აპარატის გამართულ მუშაობასთან არის დაკავშირებული, რადგან ის კოორდინაციას უწევს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას, უზრუნველყოფს შინაგანანგის დაცვასა და შესრულებას და მასვე აკისრია ყველა ის მოვალეობა, რაც უზენაესი სასამართლოს გამართულ მუშაობასთან არის კავშირში.<sup>228</sup>

ადმინისტრაციული ფუნქციების განტვირთვის კუთხით, გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს უჭერს თავმჯდომარის უფლებამოსილებების მენეჯერზე დელეგირებას.

---

<sup>224</sup> კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა, რეფორმები და პერსპექტივები, 2017. სასამართლოს თავმჯდომარე, გვ. 109.

<sup>225</sup> იქვე.

<sup>226</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2018 წლის 18 იანვრის N3პლ-2018 დადგენილებით დამტკიცებულია უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტი.

<sup>227</sup> უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტი, 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>228</sup> უზენაესი სასამართლოს მენეჯერის უფლებამოვალეობანი იხ: უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტი, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.



**ასოცირებული პროფესორი:** „თავისთავად კარგია, რომ თავმჯდომარეები განვტვირთოთ ადმინისტრაციული ფუნქციებისგან და ეს აღარ იყოს იმის საფუძველი, რომ ისინი არ ახორციელებდნენ საკუთარ სამოსამართლო ფუნქციებს ჯეროვნად.“

**ყოფილი მოსამართლე, პროფესორი:** „მენეჯერს უნდა ჰქონდეს ძალიან ფართო უფლებამოსილებები, ტექნიკური საქმე სასამართლოს უნდა მოშორდეს, ისინი (თავმჯდომარეები) უნდა იყვნენ მართო საქმეზე ორიენტირებულები.“

**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „დღეს პრობლემას ვხედავ. მათ დღეს ყველაფრის შეთანხმება უწევთ თავმჯდომარესთან და ეს ჩემთვის გაუგებარია. დღეს ეს პრობლემაა, რომ მენეჯერი მთლად გადაწყვეტილება უნარიანი არ არის.“



სასამართლოს თავმჯდომარისა და მენეჯერის ფუნქციების ნათლად გამიჯვნა არსებითად მნიშვნელოვანია თავმჯდომარის ადმინისტრაციული ტვირთის შემსუბუქებისა და ზოგადად, უზენაესი სასამართლოს შიდა ინსტიტუციური გაჯანსაღებისათვის.

## 7.4. პალატების თავმჯდომარეთა თანამდებობაზე დანიშვნა და მათი უფლებამოსილება

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და დიდი პალატა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს, რომლებიც საქართველოს საპროცესო კანონით დადგენილი წესით, განიხილავენ საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავენ მათი განსჯადობისათვის მიკუთვნებულ სხვა საქმეებს.<sup>229</sup>

უზენაესი სასამართლოს პალატა (გარდა დიდი პალატისა) საქმეს სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს.<sup>230</sup> პალატებს ჰყავთ თავმჯდომარეები, რომლებსაც პალატების შემადგენლობიდან 5 წლის ვადით პლენუმი ირჩევს.<sup>231</sup> პლენუმის გადაწყვეტილებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ შესაძლოა ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილებები განახორციელოს.<sup>232</sup>


<sup>229</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი.


<sup>230</sup> იქვე, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>231</sup> იქვე, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>232</sup> იქვე.

უზენაესი სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად<sup>233</sup>, 2014 წლიდან დღემდე პლენუმმა პალატების თავმჯდომარეების არჩევის თაობაზე ორი გადაწყვეტილება მიიღო:

 2015 წლის 15 ივნისიდან მზია თოდუა არჩეულ იქნა სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარედ;<sup>234</sup>

 2017 წლის 28 ივნისიდან ვასილ როინიშვილი არჩეულ იქნა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ.<sup>235</sup>

რაც შეეხება დიდი პალატის შემადგენლობას, მათ წევრებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს პლენუმი.<sup>236</sup> დიდი პალატა შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სხვა პალატების თავმჯდომარეებისა და 2 წლის ვადით არჩეული არანაკლებ 12 მოსამართლისაგან.<sup>237</sup>

უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეები იმავდროულად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები არიან, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე პალატების თავმჯდომარეთაგან პლენუმის მიერ აირჩევა.<sup>238</sup> უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის უფლებამოსილებას ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი პირველი მოადგილის დროებით არყოფნისას თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისივე ბრძანებით ახორციელებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.<sup>239</sup>

გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი უფლებამოსილების განხორციელების ვალდებულებისა, კანონმდებლობაში ბუნდოვანია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთა ფუნქციები. შესაბამისად, გაუგებარია თავმჯდომარის მოადგილის პოზიციის არსებობის საჭიროება, რაც უზენაეს სასამართლოში იერარქიის წარმოქმნას უწყობს ხელს.<sup>240</sup>

გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობამ თავმჯდომარის მოადგილეების პოზიცია არაარსებითად და დამატებით ტიტულად შეაფასა.

---

<sup>233</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის წერილი №447-19.

<sup>234</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება N9/პლ, 15.06.2015.

<sup>235</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება N7/პლ, 28.06.2017.

<sup>236</sup> იქვე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტი.

<sup>237</sup> იქვე, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>238</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>239</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>240</sup> კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა, რეფორმები და პერსპექტივები, 2017. უზენაესი სასამართლოს ადგილი სასამართლო სისტემაში, გვ. 118.



**ყოფილი მოსამართლე, პროფესორი:** „მოადგილის არსებობა დიდი აუცილებლობა არ არის. მოადგილეობა იმას ნიშნავს, როდესაც არ არის თავმჯდომარე, ავტომატურად პირველი მოადგილე [ანაცვლებს], თუმცა ესეც შეიძლება მოწესრიგდეს, როდესაც თავმჯდომარეს არ შეუძლია უფლებამოსილების განხორციელება, სპეციალური ბრძანებით ეს დროებით დაეკისროს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარეს.“

**ასოცირებული პროფესორი:** „მოადგილის პოზიცია მგონი არსებითი არ არის, ერთადერთი ტიტულატურა არის, ანუ არავითარი შინაარსი არა აქვს, ცალკე უფლება-მოვალეობები არც არის განწერილი.“

**ადვოკატი:** „(მოადგილეების პოზიცია) გასაუქმებელია. ისტორიული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ეს პოზიციები ბედმეტი ხარჯი, რეგალიები და მოსამართლეებზე არასასურველი გავლენის საშუალებაა.“



სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა მოადგილის პოზიციის გაუქმებას როგორც უზენაეს სასამართლოში, ასევე ქვედა ინსტანციის სასამართლოებში. თუმცა, შემდგომ კანონპროექტის ეს ჩანაწერი ამოღებულ იქნა და მოადგილეების პოზიციები კვლავ შენარჩუნებულია.<sup>241</sup>

უზენაეს სასამართლოში იერარქიულობის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილია თავმჯდომარის მოადგილეების, როგორც ბუნდოვანი და არასაჭირო ადმინისტრაციული პოზიციის, გაუქმება. თავმჯდომარის დროებით არაყოფნისას მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარეს.

<sup>241</sup> იქვე.

## 8. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეთა პასუხისმგებლობა

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. ის გადანყვეტილებას იღებს კანონმდებლობისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის არა აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში ან მიუთითოს, როგორი გადანყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე.<sup>242</sup>

მაშინ, როცა მოსამართლეთა უმეტესობა პროფესიას პატივისცემით ეკიდება, ხშირად არსებობს ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან არასათანადო და არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკი, დამოუკიდებლობის სახელით.<sup>243</sup> მოსამართლეთა (მათ შორის თავმჯდომარეების) პასუხისმგებლობის სისტემა მათი მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების პრევენციას და არასათანადო და დანაშაულებრივი ქცევის ან/და საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობის<sup>244</sup> შემთხვევაში, შესაბამის რეაგირებას ემსახურება.

მოსამართლეთა პასუხისმგებლობის ეფექტიანი და განჭვრეტადი სისტემა, რომელიც ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის მყარ გარანტიებს ითვალისწინებს, არსებითად მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულები მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, ერთი მხრივ, ემსახურება სასამართლო სისტემის ავტორიტეტისა და საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ ნდობის დაცვის ინტერესს, თუმცა, მეორე მხრივ, შეიცავს პოტენციურ საფრთხეს, არასათანადოდ გამოყენების პირობებში გადაიქცეს ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის ეფექტიან ბერკეტად.<sup>245</sup>

---

<sup>242</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>243</sup> Robert H. Tembeckjian, Judicial Disciplinary Hearings Should be Open, *The Justice System Journal*, vol. 28, November, 2007. გვ. 419

<sup>244</sup> Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities, para 69.

<sup>245</sup> კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის, „სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები“ (2017), გვ. 120.



## 8.1. იმპირიენსი

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის<sup>246</sup> ფარგლებში, მნიშვნელოვნად გაძლიერდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დაცვის გარანტიები. კერძოდ, მსგავსად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებისა და თავმჯდომარეებისაგან განსხვავებით, მათი თანამდებობიდან გათავისუფლება დისციპლინური პასუხისმგებლობით დაუშვებელია.<sup>247</sup>

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების იმპიჩმენტის პროცედურა იწყება საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან/და მათ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის საფუძველზე და თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.<sup>248</sup> საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

იმპიჩმენტის წესის უზენაესი სასამართლო მოსამართლეებზე გავრცელება დადებითად შეფასდა გამოკითხულთა უმეტესობის მიერ, თუმცა ერთ-ერთი მოსამართლე პოზიტიურ მხარესთან ერთად გარკვეულ რისკებსაც ხედავს:



**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „რა თქმა უნდა, სხვა ინსტანციებთან შედარებით, როცა საბჭო ვერ ათავისუფლებს, ძლიერი გარანტიაა, მაგრამ შესაძლებელია ამან დააზიანოს მოსამართლის რეპუტაცია და საზოგადოების თვალში მას ჩრდილი მიადგეს, რადგან თუ შენ ხარ მოსამართლე, 20 და 30 პრეტენზია გაქვს და მუდმივად საქმე აღიძრება შენს წინააღმდეგ, ბევრი გადაცდომის შემდგომ, შესაძლოა დადგეს საკითხი, რომ მოსამართლე თავის უფლებამოსილებას ვერ ახორციელებს.“

**ასოცირებული პროფესორი:** „რა თქმა უნდა, ეს არის დამოუკიდებლობის გარანტია... ახლანდელი კონტექსტის გათვალისწინებით, ცალსახად უკეთესია, რომ საბჭო ვერ ათავისუფლებს დისციპლინურით უზენაეს მოსამართლეს.“



<sup>246</sup> საკონსტიტუციო ცვლილება ამოქმედდა 2018 წლის 16 დეკემბერს.

<sup>247</sup> 2018 წლის 21 ივლისის ცვლილება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში, რომელმაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მსგავსი დაცვის გარანტია გაავრცელა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>248</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 48-ე მუხლი.



**ყოფილი მოსამართლე, პროფესორი:** „იმპიჩმენტთან დაკავშირებით ბუნებრივად მიმართა, რომ ასე ჩამოყალიბდა. ბევრ სხვა ქვეყანაშიც ასეა. ეს გარკვეულწილად უზენაესი სასამართლოს სტაბილურობას, დამოუკიდებლობას განაპირობებს.“

**ადვოკატი:** „დადებითი ის არის, რომ დამოუკიდებლობის ხარისხი იზრდება.“



გამოკითხულთა უმრავლესობის პოზიციისგან განსხვავებით, ერთ-ერთი ადვოკატი ამ ცვლილებას უარყოფითად აფასებს, რადგან თვლის, რომ მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობის შიში უნდა ჰქონდეს.

საერთო ჯამში, ამგვარი ჩანაწერი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი გარანტიაა, რასაც ამ კვლევის ავტორები დადებითად აფასებენ.

## 8.2. დისციპლინური პასუხისმგებლობა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება დისციპლინური სამართალწარმოების წესით დაუშვებელია, თუმცა ეს არ გამორიცხავს მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა სახდელის დაკისრებას ან ზემოქმედების ღონისძიების შეფარდებას. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა რეგულირდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.<sup>249</sup>

ორგანული კანონით დადგენილი გადაცდომის სახეები<sup>250</sup> მეტისმეტად ზოგადი ხასიათისაა, იძლევა ნორმის ფართოდ განმარტების შესაძლებლობას და ინდივიდუალური მოსამართლეზე ზემოქმედების საფრთხეს ქმნის. კერძოდ, ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება მოვალეობის არაჯეროვან შესრულებაში. კრიტიკას იმსახურებს აგრეთვე ეთიკის ნორმების დარღვევა, როგორც დისციპლინური გადაცდომის სახე, ზოგადი სადამსჯელო ღონისძიების გამო.<sup>251</sup>

<sup>249</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის XIII<sup>1</sup> თავი.

<sup>250</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლი.

<sup>251</sup> აღნიშნული კრიტიკულად შეფასდა ჯერ კიდევ 2007 წელს ვენეციის კომისიის მიერ.

დისციპლინური გადაცდომის სახეები არაერთხელ გამხდარა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი. ვენეციის კომისიის 2014 წლის დასკვნაშიც მეორდება ჯერ კიდევ 2007 წელს გაცემული რეკომენდაცია პასუხისმგებლობის საფუძვლების გადახედვის აუცილებლობის თაობაზე და აღნიშნულია, რომ უფრო ზუსტად მოხდეს მათი განსაზღვრა ისეთი ფორმით, რომ გამოირიცხოს მათი გამოყენება სხვა მიზნებისთვის, გარდა დისციპლინური სამართალწარმოების ნამდვილი მიზნებისა.<sup>252</sup>

დისციპლინური გადაცდომის სახეების ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათი კრიტიკულად შეფასდა პროფესიული ჯგუფების წარმომადგენელთა მიერ:



**ყოფილი მოსამართლე:** „სიცხადეს მნიშვნელობა აქვს. მოსამართლისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, რისთვის შეიძლება რომ დაისაჯოს. სადისციპლინო საჩივრის ავტორების მიზანია უშველონ გადაწყვეტილებას. ზოგს წინსწრებით შეაქვს, რომ გააფრთხილოს მოსამართლე, რომ მის თავზე დამოკლეს მახვილი ჰკიდა. კანონიერების თემი ცალკე საკითხია. საჩივრების დიდი ნაწილი გაჭიანურებას უკავშირდება, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ მოსამართლის წვლილი დაბალია. ბუნდოვანება მეტ კითხვის ნიშნებს აჩენს.“

**ყოფილი მოსამართლე, პროფესორი:** „რალაცნაირად უნდა ჩამოვყალიბდეთ, ვთქვათ, არაჯეროვანი შესრულება რას ნიშნავს - ეს უნდა იყოს ყველასთვის ცნობილი, თუ რა ფარგლებში ჯდება. თავისთავად სიტყვები ძალიან ბუნდოვანია. კონკრეტული საქმიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს, რომ მოსამართლის ეს კონკრეტული მოქმედება არის არაჯეროვანი შესრულება.“

**ადვოკატი:** „არაჯეროვანი ძალიან საშიში ფრაზაა და შეიძლება არასასურველი მოსამართლის სანქცირება, დასჯა მოხდეს.“

**სახალხო დამცველის წარმომადგენელი:** „პრობლემა არის განუსაზღვრელობა, მაგალითად, მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება. ახლა ინსპექტორს აქვს კარგი მცდელობა, ცდილობს დამატებითი ტესტები, კომპონენტები შემოიტანოს, მაგალითად ზიანის ტესტი, არაჯეროვანი შესრულება, რა გამოიწვია ამან, სად დაირღვა უფლება, საჯარო ინტერესი და სხვა. ნებისმიერ შემთხვევაში, საბჭოს შეიძლება დარჩეს რალაც შესაძლებლობა, რომ არათანაბარი მიდგომა ჰქონდეს. როცა ვსაუბრობთ იმაზე, რომ საბჭოს მაგალითად ინდივიდუალური მოსამართლეებზე აქვს გავლენა, ერთ-ერთი პრობლემური საკითხი ის არის, რომ როცა გაქვს დისციპლინური სამართალწარმოების ბუნდოვანი საფუძვლები, ამასთან არ გაქვს უნიფიცირებული პრაქტიკა, ამან შეიძლება შიში გამოიწვიოს მოსამართლეებში.“



<sup>252</sup> Venice Commission, CDL-AD(2014)032, § 27.

სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი<sup>253</sup> ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომების კონკრეტულ და ამომწურავ ჩამონათვალს. ის არ მოიცავს მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, როგორც გადაცდომის ერთ-ერთ სახეს, ასევე აღარ უთითებს სამოსამართლო ეთიკის ნორმებზე. ამგვარი ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გაძლიერების კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. გარდა ამისა, დადებითად უნდა შეფასდეს იმ კორუფციული სამართალდარღვევების დაკონკრეტება, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს. დღევანდელი მდგომარეობით,<sup>254</sup> კანონპროექტი პარლამენტის მიერ დამტკიცებული არ არის.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, სამსახურის შექმნიდან დღემდე,<sup>255</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე ინსპექტორის სამსახურიში მიღებულ იქნა 51 საჩივარი და მათგან საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ 18 საქმეზე.<sup>256</sup> წინასწარი გამოკვლევის შედეგად დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დაუდასტურებლობის მოტივით, 15 დისციპლინურ საქმეზე შეწყდა სამართალწარმოება, 3 შემთხვევაში კი დაიწყო დისციპლინური დევნა და მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება.<sup>257</sup> საქმეები შეეხებოდა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების 1 ფაქტსა და მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების 2 შემთხვევას, მათგან 2 საქმეზე მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში, 1 საქმე კი კვლავ განხილვის პროცესში იმყოფება.<sup>258</sup>

საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლიდან დღემდე სადისციპლინო კოლეგიის მიერ არ განხილულა არცერთი დისციპლინური საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ.<sup>259</sup>

---

<sup>253</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/18385> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 15 ოქტომბერს).

<sup>254</sup> ოქტომბერი 2019.

<sup>255</sup> 2019 წლის 31 მაისის მდგომარეობით.

<sup>256</sup> დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის 31 მაისის წერილი N119/19/03-ი.

<sup>257</sup> იქვე.

<sup>258</sup> იქვე.

<sup>259</sup> საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის წერილი N15/03

# 9. უზენაესი სასამართლოს პლენუმი

## 9.1. პლენუმის შემადგენლობა

უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისაგან.<sup>260</sup>

მისასალმებელია უზენაესი სასამართლოს ყველა წევრის ყოფნა პლენუმის შემადგენლობაში, რადგან ამით უზრუნველყოფილია უზენაეს სასამართლოში თვითმმართველობის მაღალი ხარისხი.<sup>261</sup> თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პლენუმი ადმინისტრაციულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ უმაღლეს ინსტანციაში და არა მთლიანად სასამართლო სისტემაში, პლენუმის შემადგენლობაში სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების ყოფნა არ შეესაბამება უზენაესი სასამართლოს ადგილსა და როლს სასამართლო სისტემაში.<sup>262</sup>

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეების ყოფნა უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში გააკრიტიკა გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობამ. მათი თქმით, პლენუმი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ერთობაა, რომელსაც მხოლოდ შიდა კომპეტენციები აქვს და გადაწყვეტილებებს იღებს უზენაეს სასამართლოსთან და არა მთლიანად სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეების როლი პლენუმის შემადგენლობაში გაუგებარია.



**სახალხო დამცველის წარმომადგენელი:** „რაც საბჭო შეიქმნა, ცალკე გვაქვს დამოუკიდებელი უწყება. პლენუმს ბუნებრივია მხოლოდ შიდა კომპეტენციები აქვს და ამ შიდა კომპეტენციებთან დაკავშირებით გაუგებარია, რა როლი აქვს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეების მონაწილეობას.“



რესპონდენტთა უმრავლესობის მიდგომისგან განსხვავებით, უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე მიიჩნევს, რომ ამგვარი რეგულირება ტრანსპარენტულობის ხელშეწყობა და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეების ყოფნას პლენუმის შემადგენლობაში საზიანო არაფერი მოუტანია.

<sup>260</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>261</sup> კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, “სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები (2017), გვ. 114.

<sup>262</sup> კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, “სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები (2017), გვ. 114.

უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სხდომის ოქმები<sup>263</sup> ცხადყოფს, რომ 2017 წლის 8 თებერვლიდან დღემდე ჩატარებული 14 საჯარო სხდომიდან პლენუმის 5 სხდომას ესწრებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე არცერთ სხდომას არ დასწრებია.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიით, პლენუმის შემადგენლობაში აღარ შედიოდნენ სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები, რაც დადებითად შეფასდა ვენეციის კომისიის მხრიდან,<sup>264</sup> თუმცა ეს ცვლილება საბოლოოდ კანონმდებლობაში არ აისახა.

სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების ყოფნა პლენუმის შემადგენლობაში პრობლემურია იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლოს თავმჯდომარეები თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ბუნდოვანი და გაუმჭვირვალე პროცედურით ინიშნებიან,<sup>265</sup> რაც ხელს უწყობს სისტემის შიგნით თავმჯდომარის, როგორც მაკონტროლებლის აღქმას. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული თავმჯდომარის შერჩევის კრიტერიუმები და ნათელი პროცედურა. ამასთან, წლებია სასამართლოში ადმინისტრაციულ თანამდებობებს, როგორც წესი, ერთი და იგივე პირები იკავებენ. საბჭოს შეუზღუდავი უფლებამოსილება თავმჯდომარეთა დანიშვნის პროცესში პრობლემურია იმ თვალსაზრისით, რომ ქმნის ჭარბ ძალაუფლებას საბჭოს ხელში, ასევე, წარმოშობს ინდივიდუალურ მოსამართლეზე გეგავლენის მოხდენის რისკებს. აღიარებულია, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისთვის პოტენციური საფრთხე შეიძლება წარმოიშვას თვით სასამართლო სისტემის იერარქიაში, რადგან მოსამართლეთა დამოუკიდებლობას განაპირობებს არა მხოლოდ ნებისმიერი უსაფუძვლო გარე ჩარევისგან დაცვა, არამედ უსაფუძვლო გავლენისგან დაცვაც, რაც ბოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება მომდინარეობდეს სხვა მოსამართლეებისგან.<sup>266</sup>

საქართველოში სასამართლოების თავმჯდომარეების ხელში თავმოყრილი ჭარბი უფლებამოსილებები არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი.<sup>267</sup> ამ ფონზე, სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების ყოფნა უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში კიდევ უფრო მეტად ზრდის მათ ძალაუფლებასა და გავლენებს სასამართლო სისტემაში.

---

<sup>263</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 ივლისის წერილი Nოს-401-19.

<sup>264</sup> Venice Commission, CDL-AD(2014)031, 14.10.2014. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdfFile=CDL-AD\(2014\)031-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdfFile=CDL-AD(2014)031-e) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>265</sup> აღსანიშნავია, რომ სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების თავმჯდომარეების არჩევას ამავე სასამართლოს მოსამართლეების მიერ ფარული კენჭისყრით, რასაც დადებითად აფასებდა ვენეციის კომისიაც. Venice Commission, CDL-AD(2014)031, 14.10.2014, § 84.

<sup>266</sup> CCJE დასკვნა N1(2001), § 66.

<sup>267</sup> ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Progress-Update-2018-ENG.pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

## 9.2. პლენუმის უზღაურა-მოვალეობები

მოქმედი კანონმდებლობით, უზენაესი სასამართლოს პლენუმი იღებს გადაწყვეტილებებს უზენაესი სასამართლოს მართვისა და ადმინისტრირების მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც არის პალატების დაკომპლექტება, უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტის დამტკიცება და სხვა. მისი უფლებამოვალეობები დეტალურად რეგულირდება ორგანული კანონით.<sup>268</sup>

რამდენიმე გამოკითხული რესპონდენტი ხაზს უსვამს პლენუმის, როგორც კოლეგიური ორგანოს, მნიშვნელობას სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაბალანსების კუთხით.



**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „თავმჯდომარის უფლებამოსილებები იზღუდება პლენუმის უფლებამოსილებით. პლენუმის ინსტიტუტის არსებობა კარგი და ოპტიმალურია. ძირითად საკვანძო საკითხებზე, რაც მის უშუალო მუშაობას შეეხება, პლენუმი იღებს გადაწყვეტილებას და არა თავმჯდომარე ერთპიროვნულად.“

**ყოფილი მოსამართლე, პროფესორი:** „პლენუმის, როგორც კოლეგიური ორგანოს, ფუნქციაა შეეხიდოს მართვის ფუნქციებში თავმჯდომარეს.“

**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „საკმაოდ მნიშვნელოვანი ორგანოა. ეს არის უზენაესი სასამართლოს თვითმმართველობა ფაქტობრივად. გარკვეულწილად თავმჯდომარეს აბალანსებს და მნიშვნელოვანია.“



პლენუმი მნიშვნელოვანი თვითმმართველობის ორგანოა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, რომ უზენაესი სასამართლოს თითოეულ მოსამართლეს ჰქონდეს სასამართლოს მართვის პროცესზე გავლენის მოხდენის საშუალება და ჩართული იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მიუხედავად პლენუმის, როგორც კოლეგიური ორგანოს, მნიშვნელოვანი როლისა, დღეს მოქმედი კანონმდებლობით მას მინიჭებული აქვს იმგვარი კომპეტენციებიც, რაც არ შეესაბამება მის ძირითად ფუნქციურ დანიშნულებას. აუცილებელია, პლენუმის უფლებამოსილების ფარგლები იმგვარად განისაზღვროს, რომ თანხვედრაში იყოს თვითმმართველობის ორგანოს როლთან.

<sup>268</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-18 მუხლი.




## უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის ოდენობის განსაზღვრა

მოქმედი კანონმდებლობის<sup>269</sup> თანახმად, პლენუმი უფლებამოსილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით უზენაესი სასამართლოსთვის გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში განსაზღვროს უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის ოდენობა.

აღსანიშნავია, რომ 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიის<sup>270</sup> მიხედვით მოსამართლეთა ხელფასები (მათ შორის, დანამატებიც) კანონით უნდა იყოს ფიქსირებული. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ოდენობა ორგანული კანონით განისაზღვრება,<sup>271</sup> რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა პლენუმის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრის შესაძლებლობა დისკრეციულ ელემენტებს შეიცავს.

ანტიკორუფციული რეფორმების მეოთხე რაუნდის შეფასების<sup>272</sup> შედეგად გაცემული რეკომენდაციების თანახმად, მოსამართლის შრომის ანაზღაურებიდან უნდა გამოირიცხო ნებისმიერი დისკრეციული ანაზღაურება, რაც აუცილებელია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის მსგავსად, ვენეციის კომისიაც მიიჩნევს, რომ მოსამართლეთა სარგებელი, რომელიც დისკრეციულ ელემენტებს შეიცავს, ეტაპობრივად უნდა გაუქმდეს.<sup>273</sup>

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ყოველთვიური დანამატის ოდენობა 2015-2019 წლებში<sup>274</sup> მოცემულია დიაგრამაზე:



<sup>269</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

<sup>270</sup> § 1.1.6 და 2.3.2; ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/ge/162-2017> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>271</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>272</sup> რეკომენდაცია 12.7. ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Round-4-Monitoring-Report-ENG.pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს)

<sup>273</sup> Venice Commission, CDL-AD(2010)004, § 51.

<sup>274</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის წერილი №-447-19.

<sup>275</sup> 2019 წელს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დანამატი შეადგენს 3800 ლარს.



მიუხედავად იმისა, რომ 2015-2019 წლებში განსაზღვრული დანამატის ოდენობა ერთგვაროვანია შესაბამის თანამდებობაზე მყოფი მოსამართლეებისათვის (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მოსამართლე), პლენუმის ამგვარი უფლებამოსილება სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის გარკვეული რისკის შემცველია. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში პლენუმის თავისუფლება არ არის კანონით შეზღუდული და მოსამართლეები თავად განსაზღვრავენ ყოველთვიური დანამატის ოდენობას, ეს წარმოადგენს ფართო დისკრეციას, რაც კორუფციული პრაქტიკის რისკს წარმოშობს. მნიშვნელოვანია, გაუქმდეს პლენუმის მიერ დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესაძლებლობა და მოსამართლეების მიერ მისაღები შრომის ანაზღაურება (რაც მოიცავს თანამდებობრივ სარგოზე დანამატსაც) მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს.

## **ბ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლება**

თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.<sup>276</sup>

გარდა ინდივიდუალური მოსამართლეებისა, მოქმედი კანონმდებლობა უზენაესი სასამართლოს პლენუმსაც ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილებას: პლენუმი უფლებამოსილია კონკრეტული საქმის განხილვასთან და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს წარდგინება ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე.<sup>277</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ პლენუმი არ ახორციელებს მართლმსაჯულებას და არ განიხილავს საქმეებს, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა მის როლსა და ფუნქციას არ შეესაბამება. ეს უფლებამოსილება უნდა გააჩნდეთ მხოლოდ მართლმსაჯულების განმახორციელებელ სასამართლოებს. უზენაესი სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2014 წლიდან დღემდე პლენუმს ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინებით არ მიუმართავს.<sup>278</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანახმად, პრაქტიკაში კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვას თავის თავზე იღებს პალატა. ეს საქმის წარმოების

<sup>276</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-18 მუხლი.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>277</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>278</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის წერილი №447-19.

დროს ხდება და პლენუმისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭება არ არის სწორი. ამგვარი რეგულირება კანონმდებლობის ხარვეზს წარმოადგენს და პლენუმის ეს ფუნქცია არ გამოყენებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კანონმდებლობის ხარვეზის გასწორება და პლენუმისათვის ამ უფლებამოსილების ჩამორთმევა.

## 3

### მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის გამოქვეყნება

უზენაესი სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ,<sup>279</sup> თუმცა მოქმედი კანონმდებლობა არ აკონკრეტებს რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს აღნიშნული ანგარიში.

2019 წელს გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ.<sup>280</sup> ანგარიშის ძირითადი ნაწილი ანალიზებს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას საქართველოს მართლმსაჯულების მდგომარეობის გათვალისწინებით. იგი მოიცავს ინფორმაციას სამოსამართლო სამართლის მიხედვით ქვედა ინსტანციის სასამართლოებში სამართლებრივი ნორმის გამოყენების, განმარტებისა და პროცედურული წესების დაცვის საკითხებზე, აგრეთვე, 2017-2018 წლების განმავლობაში უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა პალატების მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

აღნიშნულ ანგარიშში მითითებული ინფორმაცია შინაარსობრივად შეესაბამება უზენაესი სასამართლოს ძირითად როლსა და ფუნქციას. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უზენაესი სასამართლო ყოველწლიურად ასევე აქვეყნებს საერთო სასამართლოების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს. ამავდროულად, სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალების განხილვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი ფუნქციაა.<sup>281</sup> იმის გათვალისწინებით, რომ მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა საბჭოს მოვალეობას წარმოადგენს,<sup>282</sup> ამ ნაწილში იკვეთება ფუნქციების დუბლირება საბჭოსა და უზენაეს სასამართლოს შორის.<sup>283</sup> მისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, სწორედ საბჭო უნდა ამუშავებდეს საერთო სასამართლოების სტატისტიკურ მონაცემებს და ახდენდეს საზოგადოების ინფორმირებას სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

<sup>279</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

<sup>280</sup> <http://www.supremecourt.ge/news/id/1936> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 30 ივლისს).

<sup>281</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 49-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>282</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>283</sup> კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, “სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები (2017)”, გვ. 116.



## სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის დაცვა და განმტკიცება, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

მოქმედი კანონმდებლობით, პლენუმი ვალდებულია დაიცვას და განამტკიცოს სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი და თანასწორუფლებიანი შტოს – სასამართლო ხელისუფლების – ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და უზრუნველყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა.<sup>284</sup> ორგანული კანონის ამგვარი ჩანაწერით იკვეთება კომპეტენციების დუბლირება პლენუმსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის, რადგან საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ასევე წარმოადგენს საბჭოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას.<sup>285</sup> პლენუმი თვითმმართველობის ორგანოა, რომელიც უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლეს აერთიანებს; შესაბამისად, მისი უფლებამოსილება არ უნდა გასცდეს უზენაესი სასამართლოს ფარგლებს.

გამოკითხვის პროცესში, ყოფილმა მოსამართლემ/პროფესორმა აღნიშნა, რომ ეს ფუნქცია ზედმეტია პლენუმისთვის, რადგან საბჭო არის ამ კუთხით უფრო მნიშვნელოვანი. თუმცა, უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ფუნქციები დუბლირებული არ არის, რადგან საბჭო უზრუნველყოფს ქვედა ინსტანციების დამოუკიდებლობას. მისი თქმით, ფუნქცია ერთი და იგივეა, მაგრამ სხვადასხვა დაწესებულებების მიმართ.

უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში.<sup>286</sup> შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს ფუნქციური დანიშნულებისა და მისი როლის გათვალისწინებით, სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა არ უნდა წარმოადგენდეს პლენუმის კომპეტენციას, რადგან ეს ვალდებულება კონსტიტუციის მიხედვით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გააჩნია,<sup>287</sup> რაც ასევე გამართლებულია ამ მხრივ არსებული საერთაშორისო სტანდარტებით. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) თანახმად, მართლმსაჯულების საბჭოს მიზანია დაიცვას სასამართლო სისტემისა და ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობა, როგორც არსებითი ელემენტი სახელმწიფოსი, რომელიც იმართება კანონის უზენაესობით.<sup>288</sup>

<sup>284</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>285</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>286</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-14 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

<sup>287</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>288</sup> CCJE დასკვნა N10 (2007), § 8.

## 9.3. პლენუმის საქმიანობის გამჭვირვალობა

პლენუმი მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ. პლენუმის სხდომას ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პლენუმის წევრთა არანაკლებ ერთი მესხუთედის მოთხოვნით.<sup>289</sup>

სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცვლილებით<sup>290</sup> გაიზარდა უზენაესი სასამართლოს პლენუმის საქმიანობის გამჭვირვალობა და ორგანული კანონით განისაზღვრა, რომ პლენუმის სხდომა, როგორც წესი, საჯაროა. აღნიშნული ცვლილების შემდეგ გაიმართა პლენუმის 14 საჯარო სხდომა.<sup>291</sup>

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას, რაც მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს. აღნიშნულ პრობლემას ხაზს უსვამს რამდენიმე გამოკითხული რესპონდენტიც. თუმცა, ერთ-ერთი მოქმედი მოსამართლე მიიჩნევს, რომ გამოქვეყნებას დამატებითი ადამიანური რესურსი სჭირდება და ზედმეტი ხარჯების განწევა მას სწორად არ მიაჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ პლენუმის დადგენილებები<sup>292</sup> და სხდომის ოქმები<sup>293</sup> ხელმისაწვდომია საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაში, პლენუმის საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.

---

<sup>289</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>290</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში 2017 წლის 8 თებერვალს განხორციელებული ცვლილება. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3536739?publication=0#DOCUMENT:1> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 11 მაისს).

<sup>291</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 ივლისის წერილი Nოს-401-19.

<sup>292</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის წერილი Nპ-447-19.

<sup>293</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 ივლისის წერილი Nოს-401-19.

# 10. საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა უზენაეს სასამართლოში

მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების ღია პროცედურა სასამართლოს გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ის უზრუნველყოფს როგორც მოსამართლეთა მეტ-ნაკლებად თანაბარ და დაბალანსებულ დატვირთულობას, ისე კორუფციის რისკების აღმოფხვრასა და სასამართლოს მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას.

სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით, ასევე საქმეთა განაწილების პროცესში სასამართლოს თავმჯდომარეთა როლის შესამცირებლად, მართლმსაჯულების „მესამე ტალღის“ ცვლილებებით დადგინდა საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა. ამ სისტემის დანერგვა დადებითად შეაფასა ვენეციის კომისიამ, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ აუცილებელია კანონით მოწესრიგდეს ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისა და სისტემის დროებითი შეფერხებისას მოქმედი წესები. საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის არსებობისას, წესები, რომელთა მიხედვითაც იგი ფუნქციონირებს, უნდა იყოს ნათელი და შესაძლებელი უნდა იყოს მათი სწორი გამოყენების შემოწმება.<sup>294</sup>

„მესამე ტალღის“ ცვლილებებით განისაზღვრა, რომ რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით.<sup>295</sup> კანონმდებლობით დადგინდა, რომ საქმეთა ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას დასაშვებია მოსამართლეთა შორის საქმეების ელექტრონული სისტემის გარეშე, საქმეთა შემოსვლისა და მოსამართლეთა ანბანური რიგითობის მიხედვით განაწილება,<sup>296</sup> თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება 2 დღეს, გარდა დაუყოვნებლივ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებისა, ასევე იმ საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა 24, 48 ან 72 საათია.<sup>297</sup>

ორგანული კანონის დღეს მოქმედი რედაქცია, საქმეთა თანაბრად განაწილების კრიტერიუმად, საქმის წონის სამართლიან და ობიექტურ პრინციპს არ მოიცავს და თანაბარ განაწილებას მხოლოდ საქმეთა რაოდენობრივ მაჩვენებელს აფუძნებს, რაც მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.

<sup>294</sup> CDL-AD(2014)031, 14.10.2014. ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2014\)031-geo](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)031-geo) (ბოლოს ნანახია 2019 წლის 6 ივნისს).

<sup>295</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58<sup>ე</sup> მუხლი.

<sup>296</sup> იქვე.

<sup>297</sup> „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/1-56.pdf> (ბოლოს ნანახია: 2019 წლის 11 ივლისს).

2017 წლის 1 მაისს საბჭომ მიიღო საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი, რომლითაც დადგინდა, რომ ეს სისტემა მუშაობს შემთხვევითობის პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე.<sup>298</sup> შემთხვევითობის პრინციპი გულისხმობს საქმის გადაცემას ავტომატურად შერჩეულ შესაბამისი კოლეგიის/პალატის/ვინჩრო სპეციალიზაციის მოსამართლისთვის.<sup>299</sup>

2017 წლის 24 ივლისს წესში განხორციელებული ცვლილებებით, საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში კოლეგიურად განხილვისას საქმე ნაწილდებოდა სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე და ამ მოსამართლის შესაბამის კოლეგიაზე.<sup>300</sup> დღეს მოქმედი რედაქციით კი საქმე ეწერება სხდომის თავმჯდომარეს/მომხსენებელ მოსამართლეს.<sup>301</sup> აქტი დამატებით არ ითვალისწინებს კოლეგიის სხვა 2 წევრის შერჩევის პროცედურას. ამ პირობებში კი მაღალია რისკი, რომ კოლეგიური შემადგენლობის დაკომპლექტება თვითნებურად, სამართლებრივი რეგულირების მიღმა მოხდეს. მითუმეტეს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ წინასწარ განსაზღვრული კოლეგიური შემადგენლობები უზენაეს სასამართლოებში არ არსებობს.

უზენაეს სასამართლოს მოქმედ მოსამართლეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად კოლეგიის დანარჩენი ორი მოსამართლის შერჩევასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა:



**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „მყარი შემადგენლობის მომხრე არ ვარ და ამაში საფრთხეს ვხედავ. ქვედა ინსტანციაში შეიძლება უფრო იყოს, მაგრამ უზენაეს სასამართლოში მაქსიმუმ 3 შემადგენლობა უნდა იყოს თითო პალატაში. აქ არ არის აუცილებელი მყარი შემადგენლობა. ახლა მომხსენებელი მოსამართლე განსაზღვრავს თავის შემადგენლობას... მე როცა ჩემი კუთხიდან ვუყურებ, თუ ვინმე დამინებს შემადგენლობას, მე შეიძლება ვიყო სულ უმცირესობაში და ასეთ შემთხვევაში ძალიან ძნელია საკუთარი ფუნქციების განხორციელება. თუ პროგრამა განსაზღვრავს, ეს უკეთესი იქნება.“

**უზენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „კი ნაწილდება, რომელიღაცას შეგვხვდება, დანარჩენს მე ვაკომპლექტებ. სხვა მოსამართლეების ელექტრონულად შერჩევაში მე საფრთხეს ვხედავ.“



<sup>298</sup> იქვე, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>299</sup> იქვე, მე-2 პუნქტი.

<sup>300</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/243, ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/243-2017.pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 11 ივლისს).

<sup>301</sup> იქვე.



**უმენაესი სასამართლოს მოსამართლე:** „გინდა კომპიუტერმა გაანაწილოს, როცა სამი მოსამართლე ხართ და გინდა ადამიანმა. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. სარგებელი ამ შემთხვევაში ნულია. მაგრამ როცა იქნება დიდი რაოდენობა, მაშინ კი. მე მაგაში უარყოფით მხარეს ვერ ვხედავ. ერთადერთი არის ის, რომ ადამიანები ვართ... აი, მაგალითად, ვსხედვართ 6 მოსამართლე და არის თქვენი ბიძაშვილი და მე ვარ მომხსენებელი, როგორც წესი, ჩვენ სამი ვიღებთ გადაწყვეტილებას. თქვენ არ გინდათ, ასე პირდაპირ აღმავალ-დაღმავალში არ ჯდება, რომ კანონისმიერი აცილების საფუძველი იყოს. ამიტომ უნდა დაწეროთ განჩინება, გააკეთოთ აცილება, შემდეგ უნდა შეირჩეს სხვა მოსამართლე. ეს განხილვის ვადაზე გავლენას ახდენს. ამიტომ ერთადერთი უარყოფითი ის არის, რომ ამ ფორმალობებს თავიდან იცილებ.“



კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვისას მხოლოდ მომხსენებელ მოსამართლეზე საქმის განაწილება აჩენს ხელოვნური ჩარევის რისკს, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილებას კოლეგია ხმათა უმრავლესობით იღებს. შესაბამისად, მხოლოდ მომხსენებელ მოსამართლეზე საქმეთა განაწილება ეწინააღმდეგება საქმეთა შემთხვევითი განაწილების მიზანს.

რაც შეეხება უმენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ საქმეთა განხილვას, ამ შემთხვევაში ელექტრონული სისტემა საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეებისა და სხდომის თავმჯდომარის/მომხსენებელი მოსამართლის გათვალისწინებით, დამატებით უზრუნველყოფს დიდი პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეების შერჩევას.<sup>302</sup>

წესში კვლავ პრობლემურია თავმჯდომარეთა როლი საქმეთა განაწილებისას. სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს აქვს ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა.<sup>303</sup> ამასთან, სასამართლოს თავმჯდომარე ასევე უფლებამოსილია გაზარდოს ან შეამციროს მოსამართლეთა დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი.<sup>304</sup>

წესის თავდაპირველი ვერსია ასევე ითვალისწინებდა ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმეთა განაწილებას რიგითობის წესით, რაც გულისხმობს

<sup>302</sup> „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის მე-4 მუხლი.

<sup>303</sup> იქვე, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>304</sup> იქვე, მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი.

მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა გვარის ანბანური რიგითობის მიხედვით.<sup>305</sup> მოგვიანებით, აღნიშნული უფლებამოსილება სასამართლოს კანცელარიის შესაბამის უფლებამოსილ პირს მიენიჭა,<sup>306</sup> რაც გარკვეულწილად დადებითად შეიძლება შეფასდეს, თუმცა ზემოაღნიშნული რეგულირების ფონზე, კვლავ რჩება განცდა, რომ წესი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს საქმეთა განაწილების პროცესში ხელოვნური მანიპულირების რისკების აღმოფხვრას. საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უზენაეს სასამართლოში ელექტრონული სისტემის შეფერხებას ადგილი არ ქონია და შესაბამისად, ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე არცერთი საქმე არ განაწილებულა.<sup>307</sup>

ინდივიდუალური ინტერვიუების პროცესში, ერთ-ერთი ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა აცილების სისტემის არასათანადო რეგულირებაზე და გარკვეულწილად დაუსაბუთებელ აცილებებზე, რაც ელექტრონულ სისტემაში ხელოვნური ჩარევის რისკებს ზრდის. საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, აცილების მიღების ან თვითაცილების შემთხვევაში მოსამართლე საქმეს გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს. ბუნდოვანია რა პროცედურით, რა ვადაში ხდება საქმის ხელახლა განაწილება, ვინაიდან საბჭოს მიერ დადგენილი წესი საქმეთა აცილების/თვითაცილებისას საქმეთა განაწილების ზოგად მუხლზე უთითებს.

საბჭოდან მიღებული ინფორმაციით თანახმად, 2018 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 04 სექტემბრამდე საქართველოს უზენაეს სასამართლოში ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილდა 8002 საქმე, აქედან 7140 საქმე შემთხვევითი პრინციპის დაცვით,<sup>308</sup> 3 საქმე პირდაპირი განაწილებით<sup>309</sup> და 859 საქმე წესის გარეშე.<sup>310</sup>

---

<sup>305</sup> „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 01 მაისის N1/56 გადაწყვეტილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/56-2017.pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 4 ოქტომბერს).

<sup>306</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 იანვრის N1/1 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/1-2018.pdf> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 4 ოქტომბერს).

<sup>307</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 12 სექტემბრის N1005/3175-03-ო წერილი.

<sup>308</sup> იქვე.

<sup>309</sup> რაც გულისხმობს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-3 მუხლის მე-2- მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

<sup>310</sup> რაც გულისხმობს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. კერძოდ: ა) შესაბამის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას მხოლოდ ერთი მოსამართლე ახორციელებს; ბ) რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა; გ) რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლე მორიგეობს.



საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ბოლო 2 თვის განმავლობაში, როგორც წესი,<sup>311</sup> მოსამართლეებს საქმეები არ ეწერებათ. იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლოს შესაბამის პალატაში სამზე ნაკლები მოსამართლეა, ეს წესი არ მოქმედებს.<sup>312</sup> გარკვეული შეღავათებია გათვალისწინებული იმ პირებისთვის, ვისაც ადმინისტრაციული თანამდებობები უკავიათ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეზე, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია განაწილდეს საქმეები, როგორც წესი, არაუმეტეს 5%-ისა.<sup>313</sup> თუმცა მიღებული ინფორმაციისა და მოსამართლეთა სიმცირის გათვალისწინებით, უზენაესი სასამართლო თითოეული მოსამართლის დატვირთულობა საკმაოდ მაღალია.<sup>314</sup>

---

<sup>311</sup> გარდა იმ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს.

<sup>312</sup> „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის 14<sup>1</sup> პუნქტი.

<sup>313</sup> იქვე, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>314</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 12 სექტემბრის N1005/3175-03-ო წერილი.

# რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში გაუქმდეს ფარული კენჭისყრა და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება კანდიდატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსთან შესაბამისობის თაობაზე;
- მიზანშეწონილია, კანონმდებლობით განისაზღვროს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, უზრუნველყოფილი იყოს დამოუკიდებელი გარე ექსპერტების მონაწილეობა და ცხადად გაინეროს სამუშაო ჯგუფის უფლება-მოვალეობები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების პროცესში;
- გაუქმდეს ორგანულ კანონში არსებული ჩანაწერი, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესაძლებლობას აძლევს მეორე კენჭისყრისას სრული შემადგენლობის უმრავლესობით წარადგინოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე კენჭისყრისას გადაწყვეტილება ვერ მიიღება ხმათა 2/3-ით, საბჭომ კანდიდატების დასახელების პროცედურა ხელახლა უნდა დაიწყოს;
- გაუქმდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ერთპიროვნული უფლება, პლენუმს წარუდგინოს დიდი პალატის შემადგენლობა, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის კანდიდატურა და პლენუმის თითოეულ წევრს მიეცეს აღნიშნული კანდიდატების დასახელების უფლება;
- შეიცვალოს ორგანულ კანონში არსებული ჩანაწერი, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ანიჭებს სასამართლო ხელისუფლების სახელით ურთიერთობის წარმართვის უფლებამოსილებას და მისი კომპეტენცია შემოიფარგლოს საკასაციო ინსტანციის წარმომადგენლობით;
- გაუქმდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ერთპიროვნული უფლება, გადანაცვლოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის საკითხი და ეს უფლებამოსილება გადაეცეს პლენუმს;
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ადმინისტრაციული ტვირთის შემსუბუქების მიზნით, მიზანშეწონილია, ეფექტურად გაიმიჯნოს თავმჯდომარისა და მენეჯერის ადმინისტრაციული ფუნქციები;
- უზენაეს სასამართლოში იერარქიულობის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილია თავმჯდომარის მოადგილეების, როგორც ბუნდოვანი და არასაჭირო ადმინისტრაციული პოზიციის, გაუქმება. თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მისი უფლებამოსილების განხორციელება დაეკისროს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარეს;

- კანონმდებლობით გაიწეროს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ვალდებულება, მოსამართლის იმავე სასამართლოს სხვა პალატაში გადაყვანისას დადგენილებაში მიუთითოს კონკრეტული საქმე და დაასაბუთოს კონკრეტული მოსამართლის მიერ სხვა პალატაში უფლებამოსილების განხორციელების აუცილებლობა. ასევე, მნიშვნელოვანია ეს მექანიზმი გამოყენებულ იქნას მოსამართლის თანხმობით;
- უზენაესი სასამართლოს პლენუმის შიდა კომპეტენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მისი შემადგენლობიდან ამოირიცხონ სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები;
- გაუქმდეს პლენუმის უფლებამოსილება განსაზღვროს უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის ოდენობა და აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს;
- გაუქმდეს პლენუმის უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს წარდგინება ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რადგან პლენუმი არ განიხილავს საქმეებს და არ ახორციელებს მართლმსაჯულებას;
- საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულება გადაეცეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ უწყებას;
- გაუქმდეს პლენუმის ვალდებულება დაიცვას და განამტკიცოს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და უზრუნველყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, რადგან აღნიშნული წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციურ ფუნქციას;
- პლენუმის საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია პლენუმის გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ წესში შევიდეს ცვლილება და დადგინდეს უზენაესი სასამართლოში საქმეთა განხილვისას სამივე მოსამართლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების წესის შესაბამისად შერჩევის პროცედურა.

